# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 31 აგვისტო 2005 №198 (2521) ფასი 50 თეთრი




**აიყვანე კაცი და პრესინგი. პრესინგი. პრესინგი**

რეპორტაჟი საქართველოს ნაკრების ბარჯიშიდან

2



**ალმასკომს ერთი მესამედი მოაჭრეს**

თხუთმეტი ოცდაერთზე მოჭრილია

3



**გადადგომა ფულის სანაცვლოდ**

ქართულ ჭადრაკში სკანდალური პარტია გრძელდება

15

# 99% ბლექბერნი

## ზურაბ ხიზანიშვილი ინგლისში გაფრინდა




99 პროცენტით გადაწყვეტილი ამბავია: საქართველოს ნაკრებისა და შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი ინგლისურ „ბლექბერნში“ ითამაშებს. გუშინ სანაკრებო შეკრებაზე ჩამოსულ ხიზანიშვილს „ბლექბერნის“ თავკაცებმა დაურეკეს და სასწრაფოდ ინგლისში ჩასვლა სთხოვეს — ევროპული სატრანსფერო ფანჯარა 1 სექტემბერს იხურება და ჩვენებურიც ასე ამიტომ დააჩქარეს. ზურამ გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა, დღეს კი კონტრაქტის გაფორმებაა დაგეგმილი. რამდენწლიან და რა სახის ხელშეკრულებას სთავაზობენ პრემიერლიგელები ხიზანიშვილს, ჩვენთვის უცნობია. იმას კი შეგახსენებთ, რომ „ბლექბერნამდე“ ზურას ასევე ინგლისური „პორტსმუთი“ და ჰოლანდიური „ალკმაარიც“ ეპატიჟებოდნენ.

როგორც იტყვიან, ტკბილი ლუკმის ჯერი ბოლოსააო — „ბლექბერნი“ ხომ იმ ორივეზე სახელიანი და პრესტიჟული კლუბია...

# წლის ბოლო სლემტურნირი ანტირეკორდით დაიწყო



სვეტლანა კუზნეცოვა

სვეტლანა კუზნეცოვა რომ აშშ-ის ღია პირველობაზე შარშან მოხვეჭილი ტიტულის დამცველი ისევე არ ჩანდა, როგორც რომ ვერც მისმა თვისტომებმა — ანასტასია მისკინამა და მარია შარაპოვამ ვერ დაიცვეს შარშან, შესაბამისად, როლანგაროსობასა და უიმბლდონობაზე მორენილი ტიტულები, ეს ადრეც არაერთხელ გვივარაუდნია. მაგრამ ეს 20 წლის ჯმუხი რუსგოგო პირველსავე წრეში თუ ჩაიფლავებდა და იუესოუპენის 125-წლოვან ისტორიაში პირველი მდედრი გახდებოდა, ვინაც ტიტულის დაცვა ტურნირის სტარტზევე შეწყვიტა, ასეთი თამამი პროგნოზი არასოდეს გამოგვითქვამს. ასე რომ, დიდი მუზარადის უკანასკნელი საამსეზონო ტურნირი ზორბა ანტირეკორდით დაიწყო. იმედია, ამაზე ნაკლებსაინტერესოდ მოვლენები იქ არც ამას აქეთ განვითარდება.



# გაიოზ დარსაძის უკრაინული ვარიანტი: აიყვანე კაცი და პრესინგი, პრესინგი, პრესინგი...

**გუშინ**, საღამოს 6 საათზე საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისის „დინამოს" დილმის ბაზას მიაღგა და დაახლოებით საათნახევარი ივარჯიშა. გაიოზ დარსაძის ხელქვეით 19 ფეხბურთელი დავთვალეთ: *ზვიად სტურუა, გიორგი ლომაია, გოგიტა გოგუა, გიორგი განუგრავა, კახა ჩხეტიანი, კახა ალადაშვილი, დავით მუჯირი, გოგა გახოკიძე, გიორგი დემეტრაძე, შალვა ლონლაძე, დავით ოდიკაძე, ჯაბა კანკავა, ლევან ცქიტიშვილი, მიხეილ აშვეთია, გრიგოლ იმედაძე, ზურაბ მენთეშაშვილი, კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი და ლაშა სალუქვაძე.*

ვარჯიში რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, ბაზაზე გერმანიიდან ახალჩამოსული ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი რომ გამოჩნდნენ — მათ გუშინ დასვენების საშუალება მისცეს. აი, ზურაბ ხიზანიშვილი კი თბილისიდან დილით გაფრინდა ინგლისში „ბლექბერნთან" მოსალაპარაკებლად და ნაკრებს, წესით, დღეს საღამოს უნდა შეუერთდეს.

წვრთნა ხალისიანი და თან დატვირთული გამოდგა. გაიოზ დარსაძემ ფეხბურთელებს რამდენიმე კომბინაცია დაამუშავებინა, ბოლოს კი ორკარა ათამაშა, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება, საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, კაცის აყვანას და პრესინგს დაეთმო.

ვარჯიშის შემდეგ დარსაძეს მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ...

— **რა მდგომარეობაა ახლა გუნდში?**

— უკვე თითქმის ყველა შეიკრიბა, ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი ახლახან ჩამოვიდნენ და ხვალიდან ჩვეულებრივად ივარჯიშებენ. ზურაბ ხიზანიშვილი კი ინგლისში წავიდა — მისი ტრანსფერი ძალიან რეალურია და, ბუნებრივია, ეს გავითვალისწინეთ. დანარჩენი კი თქვენც ნახეთ...

— **კმაყოფილი ხართ ფეხბურთელების მზადყოფნით?**

— სადღეისოდ ყველაფერი ნორმალურადაა. შეიძლება ითქვას, კმაყოფილი ვარ.

— **უკრაინის ნაკრებზე ინფორმაციას საკმარისად ფლობთ?**

— რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი მოვიპოვეთ.

— **თამაში რომ უმაყურებლო იქნება, ალბათ, გუნდზე გარკვეულწილად იმოქმედებს...**

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდია, თუმცა ვერაფერს შევცვლით.

— **რატომ გაიცვალა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მატჩების სტადიონები?**

— ალბათ უკეთესი საფარის გამო.

— **ანუ ეს თქვენი სურვილი იყო?**

— სადაც უკეთესი საფარია, იქ თამაში ჯობს. ეს არის და ეს.

— **რა შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს უკრაინასთან?**

— შანსებზე ვერაფერს ვიტყვი. თუმცა ფაქტია, ჩვენ მოგებას ვეცდებით და ასე იქნება ნებისმიერ მატჩში.

**კახა შალამბერიძე**

***ბადრი კეთილაძის ფოტოები***





## პრეს(თქვენთვისარმცალია)კონფერენცია

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გუშინ ჟურნალისტები თავისთან დაიბარა. პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი უეფას დიდმოხელეებთან, ჯოზეფ მიფსუდთან და მარკუს შტუდერთან ერთად პრესკონფერენციის გამართვას შეგვპირდა. ღონისძიება საღამოს ექვს საათზე იყო დაგეგმილი, მაგრამ სპორტული მედია ფედერაციის მოსაცდელში დაახლოებით ერთი საათი აყურყუტეს და მერე უბოდიშოდ დაითხოვეს — ახალკაცი და მისი სტუმრები თავიანთ საქმეს ჯერ არ მორჩენილანო.*

*ფედერაციის ძველთა-ძველი ხელმძღვანელობისგან ჟურნალისტებს რა არ უწვნევიათ, მაგრამ ასეთი?..*

## საქართველოს ჩემპიონატი
ყაზბეგი პირველი ლიგა
17 პირველი წრე
3 ტური

საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგა

**ამერი 2 1:0 ზესტაფონი 2**

**მაღაროელი 0:0 ზუგდიდი**

**მერანი 2:1 თბილისი 2**

**გურია 1:3 დინამო 2**

**ლოკომოტივი 2 1:0 ლიახვი**

**მეშახტე 1:1 მეშაქრე**

**რუსთავი 2:1 საგარეჯო**

**გაგრა 0:2 ვიტ ჯორჯია 2**

**ჩიხურა — მესხეთი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| მერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| რუსთავი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| დინამო 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 10:2 | 6 |
| მესხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| საგარეჯო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ლოკომოტივი 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ზუგდიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| გურია | 3 | 1 | 0 | 2 | 10:7 | 3 |
| ჩიხურა | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 |
| მეშაქრე | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| გაგრა | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 |
| მეშახტე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მაღაროელი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:8 | 1 |
| ზესტაფონი 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლიახვი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |
| თბილისი 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:11 | 0 |

## ინგლისი

ჩემპიონატი. VI ტური

ვულვზი 3:1 ძარ

## შოტლანდია

ბელსის თასი

ბრეჩინი 0:2 *მორტონი*

როსი 0:1 *ჰამილტონი*

*რეითი* 0:0 დამბარტონი 2:1 დ.დ

*პარტიკი* 2:2 სტ. ჯონ. (4:4 დდ 87პ)

*დანდი* 1:1 ერდრი (3:2 პენ.)

## შვედეთი

სუპერეტა. XXII ტური

დეგერფორსი 2:2 ბრომაპოიკარნა

## ავსტრია

I დივიზიონი. IX ტური

კაპფენბერგი 4:0 კუფშტაინი

## ისლანდია

პრიმერადივიზიონი
XVI ტური

ფილკირი 0:1 კეფლავიკი

# ალმასკომს ერთი მესამედი მოაჭრეს
## თხუთმეტი ოცდაერთზე მოქნილია


ინტერპრესნიუსის ფოტო

**გუშინ**, დილიდანვე, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ — გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეათე, რიგგარეშე ყრილობა, რომელსაც უეფას ორი წარმომადგენელიც ესწრებოდა: საქართველოში ადრეც ნასტუმრევი, უეფას აღმასრულებელი დირექტორი ჯოზეფ მიფსუდი და უეფას გენერალური მდივნის მოადგილე მარკუს შტუდერი.

დღის წესრიგში სამი საკითხი იყო: 1. სფფ-ის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება; 2. სფფ-ის ალმასკომის წევრთა არჩევა; 3. სხვადასხვა.

პირველი საკითხი ერთხმად დამტკიცდა, მთავარი ვნებათაღელვა კი, ცხადია, ალმასკომის დაკომპლექტებას მოჰყვა. ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ადრეც განაცხადა და გუშინაც აღნიშნა, რომ უპრიანი იქნება, ალმასკომის წევრების რაოდენობა შემცირდეს. ადრე ამ ორგანოში 21 წევრი იყო, გუშინ კი მათი რიცხვი 15-მდე შემცირდა.

„ალმასკომის წევრთა შემცირება დადებითი პროცესია, რადგან ეს ორგანო უფრო მოქნილი გახდება. ცხადია, ყველას თავისი აზრის გამოთქმის უფლება ექნება, კამათი და განსხვავებული მოსაზრებებიც ხომ საჭიროა" — თქვა ახალკაცმა.

ახალი ალმასკომის წევრები 24-მა დელეგატმა აირჩია. კენჭისყრა ღია იყო და, ბუნებრივია, ყველამ იცოდა, ვინ ვის აძლევდა ხმას. პირველ ტურში საკმარისი ხმები 12-მა პირმა დააგროვა. დაინიშნა მეორე ტური, რომელშიც გურამ რუხაძემ და ზურაბ ფოცხვერიამ უწიეს სასურველ კვოტას, ხოლო კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილე გუგა სულხანიშვილმა 24-დან მხოლოდ 7 ხმა მიიღო და ალმასკომის მიღმა დარჩა.

საბოლოოდ, 14 წევრი შეირჩა, მე-15 კი თავად ნოდარ ახალკაცია. ფედერაციის გენმდივანი გრიგოლ ცაავა კი, წესისამებრ, ალმასკომის წევრი ვერ იქნება.

აქვე ახალ წევრთა სიასაც გთავაზობთ:

1. **მურად ანჯაფარიძე** — აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი;
2. **ალექსანდრე ახვლედიანი** — აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი;
3. **სერგო კვარაცხელია** — სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი;
4. **ლაშა მინდელი** — ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი;
5. **რევაზ არველაძე** — სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი;
6. **ვლადიმერ გუცაევი**;
7. **ალექსანდრე ჩივაძე** — სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი;
8. **ლევან ყიფიანი** — თბილისის „ლოკომოტივის" გენერალური დირექტორი;
9. **ზურაბ ფოცხვერია** — თბილისის „ამერის" პრეზიდენტი;
10. **გიორგი ტყავაძე** — თბილისის „დინამოს" მმართველი დირექტორი;
11. **გურამ რუხაძე** — თბილისის „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი
12. **დიმიტრი რამიშვილი** — პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი;
13. **დავით ნამგალაური** — სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე;
14. **ნოდარ ახალკაცი** — სფფ-ის პრეზიდენტი;
15. **გიორგი ქავთარაძე**.

**ლუკა თალაკვაძე**


მურად ანჯაფარიძე


ალექსანდრე ახვლედიანი


სერგო კვარაცხელია


ლაშა მინდელი


რევაზ არველაძე


ვლადიმერ გუცაევი


ალექსანდრე ჩივაძე


ლევან ყიფიანი


ზურაბ ფოცხვერია


გიორგი ტყავაძე


გურამ რუხაძე


დიმიტრი რამიშვილი


დავით ნამგალაური


ნოდარ ახალკაცი

გიორგი ქავთარაძის ფოტო ვერ მოვიძიეთ



# ლოკომოტივმა მარცვალაძე დაიმახსოვრა

**„ვიტ ჯორჯიას"** 21 წლის ფორვარდი ოთარ მარცვალაძე რამდენიმე დღე მოსკოვის „ლოკომოტივში" ვარჯიშობდა და, როგორც შევიტყვეთ, მისი რუსული ტრანსფერი დროებით შეჩერდა. ოთარი მოსკოველ რკინიგზელთა ორმხრივ თამაშში გამოსცადეს, როგორც თავად ამბობს, კარგადაც [illegible] ურთავია და... მაინც, მარცვალაძე ახალ წლამდე „ვიტ ჯორჯიაში" ითამაშებს — იგი გუშინ ჩამოვიდა თბილისში.

„რუსეთში ტრანსფერები 31 აგვისტოს ამთავრდება და „ლოკომოტივს" ძალიანაც რომ მოვწონებოდი, განაცხადში ჩემ შეყვანას ვერ მოასწრებდა. პირადად ემტრეკოვთან არ მილაპარაკია, ისე კი, მთავარ გუნდში ვვარჯიშობდი და ორმხრივ თამაშში ორი გოლიც გავიტანე" — გვითხრა ოთარმა.

ერთი სიტყვით, შემდეგი „[illegible]" იანვარია. მარცვალაძე ამბობს, „ლოკომოტივში" ნაახალწლევს ჩავალ და მაშინ გადაწყვიტენ ჩემ აყვანა-არაყვანასო. მანამდე კი ქართველთა სწრაფ მეგოლეს საქართველოს ჩემპიონატში ჩაუქრობა მართებს.

**ილია ნანობაშვილი**

# დინამოს კაპიტანი და ვიცე-კაპიტანი დაემტვრა

**„ამერთან"** თამაშისას დინამოელთა ვიცე-კაპიტანი, მცველი სერგო ორბელაძე ერთ-ერთი ორთაბრძოლისას უხერხულად დაეცა და ლავიწის ძვალი გატეხა. ექიმთა დასკვნით, იგი დაახლოებით თვენახევარი ვერ ითამაშებს.

დაშავებულია „დინამოს" კაპიტანი ირაკლი ზოიძეც. მას ექიმებმა დისკოზი დაუდგინეს და ერთთვიანი უქმობაც გამოუწერეს.

# ილია კანდელაკი ოდესაში დარჩა

**თბილისის „დინამოს"** ყოფილი მცველი ილია კანდელაკი ზამთრამდე ოდესის „ჩერნომორეცში" ითამაშებს. ლაპარაკია იჯარაზე, იანვრიდან კი ოდესელები [illegible], ალბათ, კონტრაქტს გაუფორმებენ — უკრაინაში ტრანსფერები დღეს იხურება და „ჩერნომორეცის" მთავარმა მწვრთნელმა სემიონ ალტმანმა თქვა, კანდელაკის ოფიციალურად კლუბში ჩარიცხვას ვერ ვასწრებდითო. ისე კი, ალტმანს ილია მოსწონებია და, როგორც ამბობს, ძირითადი შემადგენლობისთვის სჭირდება.

შეგახსენებთ, „ჩერნომორეცამდე" კანდელაკი ხარკოვის „მეტალისტში" აპირებდა გადასვლას, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
## პირველი წრე
## 4 ტური მიმოხილვა

# ერთი გოლის ჩემპიონატი

*მეოთხე ტური გაილია საქართველოს ჩემპიონატში და რა გვხვდება ყველაზე მეტად თვალში? ის, რომ თითქმის ყველა თამაში დაძაბულია, „დინამო“ რომ „დინამოა“, ისიც ველარ იგებს უოფლოდ და სადღაა 9:0, 11:2, 8:1 და ამის მსგავსი...*

*საოცარია, მაგრამ განვლილ ოცდათორმეტ თამაშში მხოლოდ ერთი დამთავრდა დიდი ანგარიშით („ლოკომოტივი“ — „ამერი“ 3:0).*

*ერთი სიტყვით, ყველა მატჩში ბრძოლაა, ოღონდ ეს ბრძოლა რამდენად გლადიატორულია და რა კლასს აქსოვენ გუნდები, ეს უკვე ცალკე საკითხავია...*

### სიონიზმი გრძელდება

ბოლნისის „სიონი“ კვლავაც ერთპიროვნული ლიდერია, რასაც დიდ სენსაციად ვერ ჩავთვლით. ერთი რომ, სეზონი ახლახან დაიწყო და მეორეც, ხვიჩა ქასრაშვილს საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს, მეტწილად ახალგაზრდები, რომლებსაც კოჭებში ეტყობათ, მოუმატებენ. ჩიკვილაძე, დვალი, დოლიძე, კვიტაიშვილი და ხმალაძე ახალგაზრდები არიან, მათზე ცოტა გამოცდილები, მიკუჩაძე და ბოლქვაძეც იშტაზე ჩანან.

„სიონმა“ მესამე მატჩი მოიგო მშრალად და მეკარე მინდია ბობღიაშვილს 311 წუთია, გოლი არ გაუშვია. საუკეთესო ბომბარდირიც ბოლნისელთა ფორვარდი ჯაბა დვალია სამი გოლით.

### ძალიან ცუდი მოგება

„ლოკომოტივის“ თავკაცმა ნოდარ აკობიამ „დილასთან“ ნამატჩევს თქვა, ჩემმა გუნდმა ძალიან ცუდად ითამაშაო. მართლაც, ვაკელები შარშან და ვაკელები წლეულს სხვადასხვა გუნდებია. მხოლოდ დავით სირაძის ალაგ-ალაგ გაბრწყინება და მეტოქეების უნიათობა რკინიგზელებს როდემდე გაუჭრით, ძნელი სათქმელია, მაგრამ იგებენ და... აი, „დილასთან“ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს „ლოკომოტივს“ თამაში ეზარებოდა და მოვალეობის მოხდის მიზნით იყო მინდორზე გასული.

### ფუთიერი გოლაობა: ცხადაძე მომენტებს მისტირის

„ამერი“ — „დინამო“ ტურის ყველაზე საინტერესო თამაში იყო.

ერთწუთიან მონაკვეთში ჯერ ჩემპიონთა სანდრო იაშვილმა შეაგდო ჩვეული თავური, მერე კი გლდანელთა ალექსანდრე კაიდარაშვილმა ჩაისლალომა და მჭექარე დარტყმით გაათანაბრა. ნამატჩევს დინამოელთა დამრიგებელმა კახა ცხადაძემ, უკვე მერამდენედ, საგოლე მომენტების განიავებაზე დაიჩივლა და თქვა, ვიცოდი, „ამერი“ კონტრშეტევებზე ითამაშებდაო. მასპინძელთა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ კი მოკლედ მოჭრა, საფრეო თამაში იყო და ეგრეც დამთავრდაო.

გლდანურ მატჩზე საუბრისას ამერელთა მეკარე ლადო ნადირაშვილი არ ვახსენოთ, არ გამოვა — მართლაც ძალიან კარგად ითამაშა..

### ორ თამაშში სამი გოლი და... ნაკრებში ხარ

იოჰან ბოსკამპის რჩეული გრიგოლ იმედაძე უკვე ნახევარი წელია, „ზესტაფონშია“ და გოლების გატანა ახლაღა დაიწყო — ჯერ თასზე „ზუგდიდს“ დუბლი „მიუძღვნა“, შაბათს კი „ცხინვალთანაც“ გამორჩა ერთ გოლს და... იმედაძე ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს, ოღონდ მხოლოდ სავარჯიშოდ. თუმც, თუ გოლაობა გააგრძელა, ოფიციალური მიწვევაც არ დაყოვნდება.

### გორი მხოლოდ დილას იცნობს — ცხინვალი თბილისის გუნდია

ძაან ამბავს დაეჩვია „ცხინვალი“: სტუმრად იგებს, გოლს არ უშვებს — შინ აგებს, გოლს ვერ იტანს. ეტყობა, სამაჩაბლოელებმა გორის „ქართლის“ ბალახი ვერ დაამულამეს, თორემ, აბა, „დილას“ შეხედეთ... ვლადიმერ ხაჩიძის ბიჭები პირიქით, გორში იგებენ, „ვოიაჟებიდან“ კი ხელცარიელები ბრუნდებიან.

**ილია ნანობაშვილი**



სანდრო იაშვილი და ლადო ნადირაშვილი: „ამერი“ — „დინამოს“ მატჩში ერთმაც ივარგა და მეორემაც

### სიმბოლური ნაკრები

- სანდრო იაშვილი — *დინამო*
- გრიგოლ იმედაძე — *ზესტაფონი*
- დავით სირაძე — *ლოკომოტივი*
- შოთა ჯიძია — *ბორჯომი*
- ალეკო კაიდარაშვილი — *ამერი*
- დავით ბოლქვაძე — *სიონი*
- მურთაზ ბურნაძე — *ბათუმი*
- დავით იმედაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
- ვახტანგ ხვადაგიანი — *ამერი*
- პაველ დათუნაიშვილი — *ვიტ ჯორჯია*
- ლადო ნადირაშვილი — *ამერი*

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 3-დვალი | *სიონი* |
| 2-მეგრელაძე | *დინამო* |
| მარცვალაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| რუსია | *სოხუმი* |
| ს. ბურნაძე | *ბორჯომი* |
| ბ. ჩიტაია | *ცხინვალი* |
| ქუთათელაძე | *კოლხეთი* |
| ქ. ხანიშვილი | *დილა* |
| სირაძე | *ლოკომოტივი* |
| დოლიძე | *სიონი* |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ბორჯომი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ზესტაფონი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| ამერი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| ცხინვალი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| დილა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:3 | 6 |
| სოხუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| კახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 1 | 3 | 0:3 | 1 |
| ტორპედო | 4 | 0 | 1 | 3 | 0:4 | 1 |
| თბილისი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:6 | 0 |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ამერი“ თბილისი | ამერი 1:1 დინამო | 9,5 | 8,5 | 9,5 | 9,1 |
| „ტორპედო“ ქუთაისი | ტორპედო 0:1 ბათუმი | 8,5 | 7,5 | 7,0 | 7,6 |
| „თამაზ სტეფანია“ ბოლნისი | სიონი 2:0 კოლხეთი | 8,0 | 7,5 | 6,0 | 7,1 |
| „ოლიმპი“ თბილისი | ბორჯომი 2:1 კახეთი | 9,5 | 7,0 | 3,5 | 6,6 |
| „შევარდენი“ თბილისი | სპარტაკი 0:1 სოხუმი | 8,0 | 6,5 | 4,5 | 6,3 |
| „მიხეილ მესხი“ თბილისი | ლოკომოტივი 2:1 დილა | 9,0 | 8,0 | 1,5 | 6,1 |
| „არმაზი“ მცხეთა | ვიტ ჯორჯია 2:1 თბილისი | 7,5 | 7,0 | 3,5 | 6,0 |
| „ქართლი“ გორი | ცხინვალი 0:2 ზესტაფონი | 6,5 | 6,5 | 1,5 | 4,8 |

### მომდევნო ტური

9 სექტემბერი, პარასკევი

სოხუმი – სიონი

10 სექტემბერი, შაბათი

დილა – ამერი

ბათუმი – ლოკომოტივი

კოლხეთი – ტორპედო

კახეთი – სპარტაკი

ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია

დინამო – ცხინვალი

10 სექტემბერი, კვირა

თბილისი – ბორჯომი

# შევჩენკოს ოქროს ფეხი

**„მილანის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო ორიოდ დღის წინ კომპანია WORLD CHAMPIOS CLUB-ის მიერ მოწყობილი საინტერნეტო გამოკითხვის შედეგად მსოფლიოს ნომერ პირველ ფეხბურთელად აღიარეს. შევჩენკო კვირას მონაკოში ჩავიდა, რათა საპატიო ჯილდო „გოლდენ ფუტი" (ოქროს ფეხი) მიეღო და ფეხბურთის ძველ ლეგენდებთან, ჯორჯ ბესტთან, ფრანსისკო ექტორ ხენტოსთან, რიველინოსთან, ლუიჯი რივასთან და ლიბერიელ ჯორჯ ვეასთან ერთად მონტე კარლოს დიდების ხეივანში საკუთარი ფეხის ნაკვალევი დაეტოვებინა. „გოლდენ ფუტის" პრიზი მესამეჯერ თამაშდება. აქამდე ჯილდოს მფლობელები რობერტო ბაჯო და პაველ ნედვედი გახდნენ. გთავაზობთ ინტერვიუს ანდრეი შევჩენკოსთან**



ანდრეი შევჩენკოს ახლა „ოქროს ბურთთან" ერთად „ოქროს ფეხიც" აქვს

**— ბოლო დროს პირადი ჯილდოები არც ისე ბევრი გქონდათ. ახლა რას განიცდით?**

— ვამაყობ იმით, რომ უკრაინის წარმომადგენელი **GOLDEN FOOT**-ის მფლობელი გავხდი. მონაკოში ასეთ ბრწყინვალე ფეხბურთელებთან ერთად ყოფნა და მათთან ერთად დიდების ხეივანში კვალის დატოვება დატოვება ჩემთვის დიდი პატივია. გარდა ამისა, ამ ჯილდოს კიდევ იმით ვაფასებ, რომ საუკეთესო ფეხბურთელად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებმა ფანებმა დამასახელეს. **FRANCE TOOTBALL**-ის „ოქროს ბურთი" და გაზეთ „სპორტ ექსპრესის" „ვარსკვლავიც" პროფესიონალების, მწვრთნელების გამოკითხვის შედეგად მივიღე, „ოქროს ფეხი" კი ისეთივე უბრალო გულშემატკივრებმა მომაკუთვნეს, როგორიც ადრე მე ვიყავი. მადლობა მათ, რომ ინტერნეტში არჩევანი სწორედ ჩემზე შეაჩერეს.

**— ჯილდოსთვის ბრძოლაში თქვენი ყველაზე მთავარი კონკურენტი ისევ მილანელი პაოლო მალდინი იყო. თანაგუნდელის შესახებ რას გვეტყოდით?**

— პაოლო მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდაა. მოხარული ვარ, რომ ამგვარ მობურთალთან და პიროვნებასთან ყოველდღიური ურთიერთობა მიწევს. თუკი რამ პირადი ჯილდო მომიგია, ეს პაოლო მალდინის დამსახურებაცაა. საერთოდ კი „მილანის" დანარჩენ წევრებზე და უკრაინის ნაკრებზეც იგივეს ვიტყვი — შევჩენკოს წარმატებებში ყველამ თავისი წვლილი შეიტანა. ჩემი ჯილდოები იგივე მათი ჯილდოებია. მალდინის მალე გამოჯანმრთელებას და ფორმაში ჩადგომას ვუსურვებ. ასეთი მოთამაშე მატჩებს ტრავმის გამო არ უნდა ტოვებდეს.

**— იმ მითიურ ფეხბურთელთა შორის, რომლებთან ერთადაც მონტე-კარლოს სანაპიროზე თქვენი კვალი დატოვეთ, „მილანის" ყოფილი მობურთალი ჟორჟ ვეაც იყო. ყოფილ პარტნიორზე რას გაიხსენებთ?**

— ვეასთან შესანიშნავი მოგონებები მაკავშირებს. ბრწყინვალე ფეხბურთელი გახლდათ და რახან კარგი ხასიათის ბიჭიც იყო, უმალვე დავმეგობრდით. ჟორჟი პიროვნებაა, მთელ მსოფლიოში დიდად დაფასებული ადამიანი. ვეას ნახვა ყოველთვის მიხარია. ამიტომაც ჩავთვალე, რომ მონაკოში ჩემი ვიზიტი ყველანაირად იღბლიანი იყო...

**— 2005-06-ის სერია A-ში კი „მილანის" პირველ თამაშს იღბლიანად ნამდვილად ვერ ჩავთვლით. „ასკოლისთან" მძიმე ფრეში მხოლოდ ცუდი ამინდია დამნაშავე?**

— არა, პირველ ტურში რომ ვერ მოვიგეთ მარტო კოკისპირულ წვიმას და ცუდ მინდორს ნუ დავაბრალებთ. თუმც წალეკილმა მინდორმა მატჩის ბედზე მაინც თავისი გავლენა მოახდინა. მეორე ტაიმის დასაწყისში თითქოს სიტუაცია გამოსწორდა, მაგრამ მერე კვლავ თქეშმა დასცხო და ანგარიშის გათანაბრებაც ძლივს შევძელით

**— მიუხედავად წვიმისა, გოლი მაინც გაიტანეთ. „ასკოლის" კარის აღება მერეც შეგეძლოთ...**

— ამნაირ პირობებში გატანილ გოლს ოქროს ფასი აქვს. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, გამოუყენებელ მომენტს შეცდომას დავარქმევდი. საქმე ეს გახლავთ, რომ ბურთი ჩემთან სრულიად მოულოდნელად მოვარდა, თანაც მოუხერხებელ სიმაღლეზე და დარტყმა იდეალური არ გამომივიდა.

**— მაშინ როცა „მილანი" ორ ქულას კარგავს, „ინტერი" და „იუვენტუსი" იგებენ. გამოდის, უშუალო მეტოქეებს ჰანდიკაპეს პირველივე ტურიდან აძლევთ?**

— ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. წარმოიდგინეთ, წინ კიდევ რამხელა დისტანცია უნდა გაგიაროთ... გირჩევთ, ჰანდიკაპზე და მსგავს რაღაცეებზე ყურადღებას ნუ გაამახვილებთ.

**— იმ მითქმა-მოთქმაზე რაღას იტყვით, შევჩენკოს დღე-დღეზე ინგლისურ „ჩელსიში" გადასვლას რომ უწინასწარმეტყველებს?**

— ამ კლუბის ჩემდამი ინტერესს არ უარვყოფ, თუმც რაღაც არ მახსოვს, სადმე მეთქვას, „მილანის" დატოვება და „ჩელსიში" გადასვლა მინდამეთქი. მე „მილანში" ვთამაშობ და ამ გუნდის ფეხბურთელად დავრჩები.

**— „სან სიროს" გრანდის მწვრთნელ კარლო ანჩელოტისთან როგორ ურთიერთობას ინარჩუნებთ?**

— შესანიშნავად ვუგებით ერთმანეთს, ხოლო ის, რომ ხანდახან ფეხბურთელსა და დამრიგებელს შორის დისკუსია იმართება, ნორმალური მოვლენაა — კამათს ჭეშმარიტებამდე მივყავართ.

**— გასულ სეზონში „მილანმა" ორი დიდი ჯილდო გაუშვა ხელიდან. წლეულს რას აპირებთ?**

— ვფიქრობ, ჩვენ ახლა უფრო გავძლიერდით. „მილანის" მოიერიშეთა ხაზი ვიერისთან და ჯილარდინოსთან ერთად დღეს მეტოქეებისთვის ადრინდელზე მეტად საშიშია. ფილიპო ინძაგიც არ დაგავიწყდეთ. დარწმუნებული ვარ, ორ ფრონტზე ბროლა ძველებურად შეგვიძლია.

**— იტალიის ჩემპიონატის პირველ ტურში ისე ითამაშეთ, როგორც 2006 წლის მუნდიალზე წასვლის კანდიდატმა. სანაკრებო შესარჩევი მატჩები მოახლოვდა და ალბათ შევეცდებით, რომ სერია A-ს მომდევნო შეხვედრაში მსოფლიოს პირველობის საგზური განაღდებული გქონდეთ...**

— შესარჩევ ტურნირში გამარჯვება ჩემთვის და მთელი უკრაინისთვის დიდი საჩუქარი იქნება. ნაკრების ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მუნდიალის ისტორიული საგზური მოვიპოვოთ. უკრაინის ეროვნული გუნდის მთავარი ძალა ინტერესთა ერთობლიობაში და თითოეული ჩვენგანის მაქსიმალურ თავდადებაშია. არაადამიანურად ბევრი ენერგია დავხარჯეთ, ჯგუფის ლიდერები რომ გავმხდარიყავით... გერმანიაში მოხვედრისთვის უკან არაფერზე დავიხევთ და, რასაკვირველია, რაც უფრო მალე გავინაღდებთ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას, მით უკეთესი. თუ სერია A-ს მეორე ტურში უკვე საგზური მექნება, ამას რა სჯობია.



# ოუენი შირერს დაუძმაკაცდა

**„მეამაყება,** რომ ჩემს გუნდში ერთად ითამაშებენ მაიკლ ოუენი და ალან შირერი — თქვა „ნიუკასლის" თავმჯდომარემ ფრედი შეპერდმა მას შემდეგ, რაც ოუენმა კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა — ნიუკასლელ ფანებს უყვართ ფორვარდები, მაიკლი კი საუცხოო მეგოლეა".

25 წლის ფეხბურთელმა ერთი კვირის წინ „ეკორდების" პირველი შეთავაზება უარყო. მაიკლ ოუენს „ნიუკასლში" დროებით, ერთი სეზონით სურდა გადასვლა, გრემ სუნესმა კი ასეთი ვარიანტი იუარა. შემდეგად პრემიერლიგელებმა ალბერტ ლუკე შეიძინეს და ოუენის ტრანსფერი თითქოს ჩაიშალა, მაგრამ შეპერდმა არ მოისვენა და ინგლისელი თავდამსხმელი მაინც გადაიბირა, რომლის სანაცვლოდაც დაახლოებით 17 მილიონი გირვანქას გადაიხდის. შეგახსენებთ, რომ „ნიუკასლის" სარეკორდო ტრანსფერი 15 მილიონი გირვანქა), აქამდე ალან შირერს ეკუთვნოდა.

მაიკლ ოუენი მადრიდის „რეალში" შარშან გადავიდა და მიუხედავად იმისა, რომ ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდებოდა, 16 გოლის გატანა მოასწრო. „რეალს" ცუდი სეზონი ჰქონდა, რომელიც კრახით დაიწყო, გარსია რემონის გაგდებით და ვანდერლეი ლუშემბურგოს დანიშვნით. ამ არეულობას ოუენი „მიჩნევდა", თან ლუშემბურგოს გუნდი ბრაზილიელებით გაავსო და ინგლისელი ფორვარდსაც ისღა დარჩენოდა, „რეალიდან" წასულიყო.

მისი შეძენა „ლივერპულსაც" სურდა. სამისოდ 8 მილიონი გირვანქა გაამზადა, მაგრამ „ნიუკასლის" მაღლიდელების ორმაგი შეთავაზება და ფეხბურთელის „მაკ-ოუენის" მაინც რა მოარგო. მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატისთვის მაიკლ ოუენს სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და „რეალის" სათადარიგოებში ვერ იქნებოდა, „ნიუკასლში" გადასვლით თამაში გუშინ მან საბედისწერო შეჩვენება გააკეთა, ოფიციალური „ნიუკასლის" კი მომავალ კვირაში, სანაკრებო მატჩების შემდეგ შედგება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მიეცით ადრიანოს ოქროს ბურთი!

**„ინტერის"** შეფის, ჯაჩინტო ფაკეტის აზრით, ადრიანო წლეულს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდება. ბრაზილიელმა მეგოლემ პირველ ტურში „ტრევიზოსთან" ჰეთ ტრიკი შეასრულა და ფაკეტიც ქებას დაადევნა: „ის დიდებული ფეხბურთელია. ასე თუ გააგრძელებს, „ოქროს ბურთს" ვერავინ შეეცილება. მართალია, ვისაც ეს ჯილდო დაუმსახურებია, გუნდთან ერთად ტიტულებიც მოუგია, რაც „ინტერს" აკლია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ წლეულს გამონაკლისი მოხდება. ჩვენ გვაქვს ყველაფერი საიმისოდ, რათა გუნდმა ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. ძალიან კარგი მოთამაშეები შეგვიძენეთ და „ტრევიზოსთან" რომ ვითამაშეთ, ასე უნდა გავაგრძელოთ"

„ინტერის" ამბიციას აღმათ ხავიერ ძანეტის ტრავმაც ვერ გაანელებს. არგენტინელი მცველი ხორველი ტურის მატჩში დაშავდა და თვენახევრით მკურნალობას გაიუწიერენ. ძანეტი ვერ ითამაშებს „იუვენტუსთან" (2 ოქტომბერი) და ჩემპიონთა ლიგის ორ შეხვედრაში („პეტრომალკა" და „რეინჯერსი") გამოტოვებს. რობერტო მანჩინი მის ნაცვლად მარჯვენა ფლანგზე სავარაუდოდ ზე მარიას გამოწვევს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არისტაფან!

**გუშინ ვწერდით,** რომ პიერლუიჯი კოლინა იტალიის მსაჯთა ასოციაციიდან წავიდა, მაგრამ არბიტრთა შეფმა ტულიო ლანეზემ სიტყვა დაადევნა: „მისი გადაწყვეტილება ჩვენთვის სრულიად მოულოდნელია. შევეცდებით, გადავაფიქრებინოთ და დავაბრუნოთ. ჯერ ოფიციალურად გავუგზავნო წერილს, მერე კი ვნახოთ, რა მოხდება. თუ არ უნდა, ნუ იმსაჯებს, მაგრამ ასოციაციაში იმუშაოს. ასეთი გამოცდილი კაცის დაკარგვა არ გვსურს. კოლინასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და ვუფრთხილდები, თუმც არსებობს წესი, რომელსაც ყველა უნდა დაემორჩილოს".

45 წლის კოლინას „ვიზა" ერთი წლით გაუხანგრძლივეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მასაც და „მილანსაც" „ოპელი" ასპონსორებს, ამიტომ თავპრიალა არბიტრის სერია A-ში მსაჯობა გამოირიცხა. ჯერჯერობით კი მან ბოლოჯერ ესპანეთში იმსაჯა, როცა კვირის წინ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო მატჩში „ვილიარეალმა" „ევერტონს" მოუგო

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩარლტონს თვითონაც უკვირს... ალბიონზე ნელ-ნელა იქოქებიან

**პრემიერლიგის** კლუბები ეშხში და ფორმაში ნელ-ნელა შედიან. მართალია, არც თამაშის ხარისხია ჯერჯერობით გადასარევი, არც ტემპი ჩვეულად თავბრუდამხვევი და არც გოლების წვიმა მოდის, მაგრამ ამ თვალსაზრისით წინსვლა ყოველ ტურში იგრძნობა და გულშემატკივრებს მოსაწყენი ნამდვილად არაფერი გვაქვს.

ალბათ არავის ეწყინება, თუ ვიტყვით, რომ „ჩელსი" ისევ ყველაზე ძლიერ გუნდად გვეჩვენება. თუნდაც იმიტომ, რომ ლონდონელთა დარი რესურსი და გრძელი სათადარიგოთა სკამი სხვა კლუბებს ნამდვილად არ აქვთ. ძველ სახეს იბრუნებს და მართლაც სოლიდურად გამოიყურება „მანჩესტერიც", თუმც იქმნება შთაბეჭდილება, რომ სერ ალექს ფერგიუსონი რეალურდა 12-13 კაცით თამაშობს, ხოლო კლუბის წარმატება დიდ წილადაა დამოკიდებული უეინ რუნისა და რუუდ ვან ნისტელროის სათამაშო ფორმაზე. შესაბამისად, ადრე თუ გვიან „წითელ ეშმაკებს" შეიძლება, ისევ სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

დიდი პოტენციალი აქვს „ლივერპულსაც", რომელიც შემადგენლობით შარშანდელზე ძლიერია, თუმც მერსისაიდელებმა ჯერ მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარეს და ნელ-ნელა ალბათ უფრო დალაგდებიან.

აი, „არსენალს" კი, თუ რამე არ შეიცვალა, წესით, ჩემპიონობისათვის ბრძოლა ძალიან გაუჭირდება, „მეთოფეებს" ალექსანდრ გლების გარდა ფაქტობრივად არავინ დაუმატებიათ, ხოლო პატრიკ ვიეირას არყოფნა გუნდს უკვე ემჩნევა, ლონდონელთა იერიშებს თითქოს რაღაც აკლია და თავიდან ბოლომდე ტიერი ანრის ოსტატობაზეა დამოკიდებული.

მართლაც გაოცებას იწვევს „ჩარლტონის" დალაგებული და გააზრებული თამაში. ძნელი სავარაუდოა, ლონდონელებს ძალა და რესურსი ეყოთ, თორემ ასეთი თამაშით თიხეულში ულაპარაკოდ მოხვდებოდნენ.

გასულ უქმეებზე „მიდლსბროს" განადგურების შემდეგ ემოციებს გუნდის თავკაცი ალან კერბიშლიც ვერ მალავდა: „ბრწყინვალედ ვითამაშეთ, ჯერ მთელი სეზონი წინ არის, მაგრამ ეს დაუვიწყარი მატჩი იყო. ახლა შეგვიძლია, ორი კვირა კმაყოფილებმა შევისვენოთ. იმედია, ფეხბურთელები სანაკრებო შეკრებებიდან ჯანმრთელები დაბრუნდებიან. ეს „ბირმინგემთან" შეხვედრაში გამოჩნდება. მთავარია, კონცენტრაცია არ დავკარგოთ".

გასული ტურის კიდევ ერთი გამორჩეული მატჩი „ვესტ ბრომვიჩსა" და „ბირმინგემს" შორის შედგა. მასპინძელთა საუკეთესო ფორვარდი ჯეფ ჰორსფილდი ფაქტობრივად მარტო ებრძოდა მეტოქეს და ორი გოლიც მიითვალა. მაგრამ სტუმრებმა მაინც იძალეს.

ჩემპიონატის დაწყებამდე ბირმინგემელები წარმატებულ სეზონზე საუბრობდნენ, მაგრამ პირველ სამ მატჩში არადამაჯერებელი თამაშის შემდეგ მხოლოდ ახლა გამოფხიზლდნენ, რითაც ქომაგები ძალზე გაახარეს. გულშემატკივრებს განსაკუთრებით „არსენალის" ყოფილ ნახევარმცველ ჯერმინ პენანტის თამაში მოეწონათ, რომელმაც გაუთავებელი სახიფათო კროსებით „ვესტ ბრომვიჩის" დაცვა დააწიოკა, კარგად იბურთავა „ჩელსიდან" ნათხოვარმა ირჟი იაროშიკმაც. ხოლო ვეტერანმა ემალ ჰესკიმ დუბლი გაიფორმა და დაიქადნა, ფორმას ვიბრუნებ და მალე ძველებურად ავთამაშდებიო.

გაილაღეს „ასტონ ვილას" ქომაგებმაც. ისინი მილან ბაროშის წარმატებულმა დებიუტმა აღაფრთოვანა. ბირმინგემული კლუბი მართლაც უფრო აწყობილი და ძლიერი ჩანდა, ვიდრე აქამდე. გულშემატკივართა დიდი ნაწილის კომენტარები კი დაახლოებით ასეთი შინაარსისა გახლდათ, ახლა თავდასხმაში ანხელი, ფილიპსი და ბაროში გვყავს, ასე რომ, შეგვიძლია, გაცილებით მშვიდად ვიყოთ და გარკვეული წარმატების იმედიც გვქონდესო.

ბოლოს ჩემპიონატის გამოკვეთილი აუტსაიდერებიც ვახსენოთ. „ნიუკასლი" ალბერტ ლუკესა და მაიკლ ოუენის ჩამოსვლამ მდგომარეობიდან ნამდვილად უნდა გამოიყვანოს, გარკვეული იმედები და შესაძლებლობები „პორტსმუთსაც" აქვს. ხოლო „სანდერლენდის" საქმე ძალიან მძიმეა. „შავი კატები" ასეთი არეული თამაშით ქვედა სამეულს ვერც გასცდებიან და მაკ მაკარტიმ თუ რამე არ შეცვალა, ალბათ პოსტის დატოვება მოუწევს.

**ჯარჯი ჩხაიძე**



„ჩარლტონის" ფეხბურთელები მორიგი გამარჯვებით ხარობენ

# მამბო იტალიანო

**თამამად** შეგვიძლია ვთქვათ, რომ სერია A რიხიანად დაიწყო. უკვე ვიხილეთ წითელ-ყვითელი ბარათები, დაძაბული თუ სანახაობრივი მატჩები, ტრავმები, იყო პირველი სენსაციაც და თქვენ წარმოიდგინეთ, პირველი დათხოვნილი მწვრთნელიც გვყავს...

„კალიარიმ" „სიენასთან" თავის მეკარე ფაბიან კარინის შეცდომის გამო წააგო. სარდინიელებმა ცოტა ხნის წინ იტალიის თასიდანაც გამოითიშნენ და შეიძლება ამის ბრალია, რომ კლუბის უფროსობამ ატილიო ტესერი პოსტიდან დაითხოვა. არადა, ტესერი გუნდში ზაფხულის შუაწელს მივიდა და მისი ძალიანაც ეიმედებათ.

„სიენასა" და კალიარის" მატჩში დაინიშნა ამ სეზონში ჩემპიონატის პირველი პენალტიც. ვთქვათ, ისიც, რომ „სიენა" ისტორიაში პირველად არის სერია A-ს ლიდერებს შორის.

ბრწყინვალედ დაიწყო „ინტერმა", მილანელები რა ხანია, სეზონის წინ გაიძახოდნენ, აი, ახლა ავთამაშდებით და ტიტულებს მოვიგებთო, მაგრამ მერე არაფერი გამოსდიოდათ. ახლა კი თამაშიდანაც და შედეგიდანაც ჩანს, რომ სიტყვა საქმედ იქცა. უფრო სწორად, დიდი შანსია, იქცეს, ჯერ ხომ ყველაფერი წინაა.

„ნერო აძურის" ფორვარდ ადრიანოს თამაშით კი ყველა აღფრთოვანებული იყო. ბრაზილიელი კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და ტურის ულამაზეს გოლადაც მისი „ტრევიზოც" კარში შეგდებული პირველი ბურთი მიიჩნიეს. თუმცა ასევე კარგი გოლები გაიტანეს უდინეზელმა მუნტარიმ, „ლივორნოს" ლიდერმა კრისტიანო ლუკარელიმ, „რომას" ახალწვეულმა შაბანი ნონდამ და პალერმოელმა ტერლიციმ. მშვენიერი გახლდათ შევჩენკოსა და მარკო ბრეშიანოს დარტყმებიც. რაც შეეხება ადრიანოს, მას სერია A-ში უკვე 58 გოლი მოუგროვდა (107 მატჩში).

შთამბეჭდავი სტარტი გამოუვიდა „რომასაც". შეიძლება ითქვას, რომ როდრიგო ტადეის, სამუელ კუფურისა და შაბან ნონდას დებიუტი წარმატებული გამოდგა.



პირველ ტურში ადრიანო საუკეთესო იყო

მოქმედი ჩემპიონის, ტურინის „იუვენტუსის" თავკაცი ფაბიო კაპელო კი მიუხედავად მინიმალური სხვაობით მოპოვებული გამარჯვებისა, კმაყოფილია.

„სიმართლე გითხრათ, მატჩის დროს ავნერვიულდი, რადგანაც ბურთს მეტოქის კარში შესვლა არ უნდოდა, ხოლო ერთბურთიანი უპირატესობა შეიძლება წამში დაიკარგოს. ბევრი მომენტი შევქმენით, რაც მიხარია. თუმც მათი გამოყენება აუცილებელია. ასეა თუ ისე, ყველაფერი კარგად მიდის" — თქვა კაპელომ.

„მილანის" ხელმძღვანელობამ მეორე დღესაც იწუწუნა, ისეთ პირობებში თამაში არ შეიძლებოდა და მატჩი უნდა გადადებულიყო. ასკოლიში მართლაც კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ „როსონერის" თამაშმა ცოტა არ იყოს მაინც გაგვაკვირვა, გუნდს შეტევაში იმპროვიზაცია აკლდა. თუმცა ანჩელოტის თქმით, ესეც სველი მინდვრის ბრალი იყო.

„ლაციოს" პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ საჯაროდ მოუბოდიშა „მესინას", კერძოდ, მის მცველ მარკო ზოროს. ამ უკანასკნელს „სტადიო ოლიმპიკოზე" დედაქალაქელთა ცნობილმა რასისტმა ქომაგებმა შავი დღე აყარეს.

ორი სიტყვა ვთქვათ „ფიორენტინაზეც". ამბიციური ფლორენციელები მშვენივრად გამოიყურებოდნენ. როგორც ჩანს, ახალწვეულები უპრობლემოდ ჩაეწერნენ ჩეზარე პრანდელის სქემაში და „იებს" მართლაც კარგი პოტენციალი აქვთ.

**დავით ენდელაძე**

# ულიეს გოლ-ფრედი

**რონალდოს** შემდეგ „კრუზეიროს" მსგავსი მეგოლე არ ჰყოლიათ, ასე აფასებს ბრაზილიური მედია 21 წლის ფრედერიკო ჩავეს გუედესს. 43 მატჩში 40 გოლის გამტანი ფრედი საფრანგეთის ჩემპიონმა „ლიონმა" 15 მილიონ ევროდ იყიდა.

ფორვარდის გადაბირება ბევრ ევროპულ კლუბს სურდა. მათ შორის „ჩელსის", „მილანს" „პორტუს", „ფეიენოორდს" და „სევილიას". ამბობენ,რომ ფრედის გოლების ვიდეოჩანაწერი თვით რომან აბრამოვიჩსაც ნახავს. 21 წლის ბრაზილიელი „კრუზეიროში" ერთი წლის წინ „ამერიკა მინას გერაისიდან" გადავიდა. „ამერიკაში" მან პირველივე მატჩში, მეოთხე წამზე ბრაზილიის ისტორიაში ერთ-ერთი უსწრაფესი გოლი შეაგდო.

„ლიონის" ამბიციური პრეზიდენტი ჟან მიშელ ოლას ჩემპიონთა თასი ელანდება, მის გუნდს კი შეტევაში შაბლიერება სჭირდებოდა და 15 მილიონი ევრო არ დაიშურა. სიდნეი გოვუ, სილვენ ვილტორდი და პიერ ალან ფრო ძველებურად ვეღარ ქაჩავენ. „ლიონის" გოლების მეტი წილი ახალშეძენილ ჯონ კარეუზე მოდის. ერთი ფორვარდით სეზონის გავლა ძნელია, ნორვეგიელს კარგი მეწყვილე სჭირდებოდა და ოლასაც კარგის ფრედი მოუყვანა. ბრაზილიელის ყიდვას ვერ რომელიმე თავდამსხმელის გაყიდვა მოჰყვეს. გუნდი ალბათ პიერ ალან ფროს ან სიდნეი გოვუს შეელევა.

**მაკა ხუციშვილი**



ჟოსემირ ლუჟამბიომ „რივერს“ სამჯერ გაუტანა



შერცხვენილმა ლეანდრო ასტრადამ პოსტი დატოვა

# შერცხვენილმა რივერი აიკლო

## არგენტინა

**აპერტურა. IV ტური**

**როსარიო 4:0 ლანუსი**
1:0 რუბენი (17), 2:0 ბორსანი (47), 3:0 ვილაგრა (55), 4:0 გრაბოვსკი (62)
გაძევება: ფიორეტო (76, ლანუსი)

**ხიმნასია ხ. 2:0 ნიუელსი**
1:0 ბალვორინი (23), 2:0 კინტეროსი (87)
გაძევება: აგირე (90, ნიუელსი)

**ოლიმპო 1:1 სან ლორენსო**
0:1 ლავესი (5), 1:1 კოსტელა (7)
გაძევება: პაესი (86, ოლიმპო), ლავესი (86, სან ლორენსო)

**ინდეპენდიენტე 1:1 ხუნიორსი**
0:1 პუსინერი (52ს.კ.), 1:1 ფრუტოსი (653)

**ესტუდიანტესი 1:0 ხიმნასია ლპ.**
1:0 კალდერონი (50)

**არსენალი 1:3 კილმესი**
0:1 რისო (36), 1:1 სილვიო (463), 1:2, 1:3 ჩოი (57, 86)

**კოლონი 4:3 ტირო ფედერალი**
1:0 რამირესი (8), 2:0 ფრანკო (34), 3:0 ფაბიანესი (40), 3:1 კამპორა (50), 4:1 ფაბიანესი (51), 4:2 აკინო (59), 4:3 კამპორა (88)
გაძევება: აკინო (74, ტირო ფედერალი), ვარგასი (87, კოლონი)

**ველესი 1:0 რასინგი**
1:0 გრასიანი (49)

**ბანფილდი 4:1 რივერ პლეიტი**
0:1 გალიარდო (4), 1:1 ლუჟამბიო (11), 2:1 ფერნანდესი (41ს.კ.), 3:1, 4:1 ლუჟამბიო (52, 57)
გაძევება: მარკე (90, რივერ პლეიტი)

**ბოკა ხუნიორსი 3:0 ინსტიტუტო**
1:0 პალერმო (31), 2:0 კარდოზო (35), 3:0 პალერმო (69)

**კვირას** აპერტურას მე-4 ტურში იქაურ გრანდ „რივერ პლეიტს“ „ბანფილდის“ ურუგვაელი ლუჟამბიოს ჰეთ თრიქმა და ბეჩავი ლეანდრო ფერნანდესის ავტოგოლმა უმძიმესი ლახვარი ჩასცა. არადა, „ბანფილდის“ არენაზე გამართული ჯახი თითქოს სტუმართათვის ავისმომასწავებელი არ გახლდათ. თამაშის მეოთხე წუთზე რივერპლეიტელმა მარსელო გალიარდომ გაიტანა, თუმც მასპინძლები გონს მალე მოეგნენ და შვიდ წუთში ჟოსემირ ლუჟამბიომ გაათანაბრა. პირველი ტაიმის მიწურულს ხესუს დატულომ „რივერის“ საჯარიმოში ჩაკიდა ბურთი, იქ კი ყველას „მილიონერთა“ ზემოთ ხსენებულმა ფერნანდესმა დაასწრო და საკუთარ კარში ეშხიანი თავურით გაიტანა. სხვათა შორის, იმ დღეს მარცხენა ფეხზე ამდგარმა ლეანდრო ფერნანდესმა კიდევ ერთხელ „გამოიჩინა თავი“ — ჟოსემირ ლუჟამბიომ თავისი მორიგი გოლი სწორედ ლეანდროს შეცდომის შემდეგ შეაგდო. შემდეგ კვლავ ლუჟამბიო, კვლავ გოლი და „რივერ პლეიტმა“ „ბანფილდის“ სტადიონი მიწასთან გასწორებულმა დატოვა.

„ასეთი მარცხის მერე შეუძლებელია გუნდში დავრჩე. „რივერ პლეიტში“ ჩემი კარიერა დამთავრებულია“ — განაცხადა ნამატჩევს „რივერის“ მწვრთნელმა ლეანარდო ასტრადამ და თავისი პოსტი ყოფილ ესტუდიანტესელს, „მდოგვად“ წოდებულ რეინალდო მერლოს დაუთმო. არგენტინელებს დაუთვლიათ და ასტრადას „რივერის“ მწვრთნელად 596 დღე უმუშავია. აქედან 89 მატჩში 47 გამარჯვება, 19 ფრე და 23 მარცხი, რომელთაგან ბოლო განსაკუთრებით სამარცხვინო გამოდგა. შევნიშნოთ, რომ გადამდგარმა ასტრადამ „მილიონარიოსს“ 2004 წლის კლაუსურას ჩემპიონობა მოაგებინა.

„ბოკა ხუნიორსმა“ კი საკუთარ „ლა ბონბონერაზე“ ფერნანდო კიროსის „ინსტიტუტო“ 3:0 დააჩოქა და არგენტინის ჩემპიონატის ცხრილს სათავეში მოექცა. მაშინ, როცა მეხდაცემულ „რივერ პლეიტს“ „ბანფილდი“ ფატრავდა, „ბოკას“ მარტინ პალერმოს გასტონ პისუტის კარში გაჰქონდა გამარჯვების გოლები. 1999 წლის აპერტურიდან მოყოლებული, „ბოკას“ ხსენებული მეტოქე საკუთარ სტადიონზე ვერ დაემარცხებინა. ისე, 99-ის ოქტომბერშიც „ინსტიტუტოს“ ორივე გოლი (2:0) მარტინ პალერმომ „უძღვნა“... კვირას კი მარტინთან ერთად მასპინძელთაგან ნერი კარდოზომ ისახელა თავი. კარი მშრალად შეინახა და მშობლიური ინჩადა გაახარა რობერტო აბონდანსიერიმ, „ბოკას“ მეკარემ. მას მეტოქეებმა აქამდე აპერტურას სამივე მატჩში გაუტანეს.

წინა კლაუსურას ჩემპიონმა „ველეს სარსფილდმა“ „რასინგს“ 1:0 მოუგო და სალიდერო ადგილებიდან ქვევით ჩააბრძანა. ამ ერთადერთი და „ველესისთვის“ დიდად გასახარი გოლის ავტორი ლეანდრო გრასიანი გახლავთ.

რაც შეეხება „არსენალ“ — „კილმესის“ ჯახს, კარლოს აიმარის გუნდს („კილმესს“) აქამდე „არსენალი“ სტუმრად ვერ დაემარცხებინა, რაც სენიორ აიმარის შეგირდებმა 28 აგვისტოს მოახერხეს. მატჩი 1:3 დამთავრდა და სტადიონზე დროულად შევარდნილმა პოლიციელებმა გამხეცებულ ინჩასებს გამოგლიჯეს ხელიდან „არსენალის“ მეკარე დარიო სალა, საქმე ისაა, რომ ქომაგები ამ სეზონში თავიანთი გუნდის დაკარგულ ქულებს მას აბრალებენ და სხვას არავის.

სავარაუდოდ, ხორხე ბურუჩაგა „ესტუდიანტესის“ მწვრთნელად ისევ დარჩება. მართალია, სტუდენტთა დამრიგებლად ქცეულმა ცნობილმა ფეხბურთელმა გუნდი ჯერ საათივით ვერააწყო, მაგრამ თანაქალაქელი „ხიმნასია ლა პლატა“ კი დაამარცხა, რაც თანამდებობის შესანარჩუნებლად საკმარისი გამოდგა. ლა პლატას დერბიში ერთადერთი გოლი ხოსე ლუის კალდერონმა შეაგდო.

„მოხარული ვარ, რომ ჩემი ახალი ეტაპი „ესტუდიანტესში“ ასე კარგად დაიწყო“ — განუცხადა კალდერონმა ჟურნალისტებს.

ხოსე თავის ძველ „სტუდენტებს“ 1995 წელს დაემშვიდობა, მერე რამდენიმე ევროპულ-არგენტინულ კლუბში იხეტიალა და ბოლოს ისევ „ესტუდიანტესში“ იპოვა თავშესაფარი. „ძველი ეტაპი“ კი კალდერონს უგილოდ არ დაუტოვებია: წასვლამდე, 95 წლის 17 დეკემბერს, 2 ბურთი სწორედ „ხიმნასია ლა პლატას“ გაუტანა.

სანტა ფეს „კოლონმა“ [illegible] დივიზიონიდან ახლად აწინაურებული „ტირო ფედერალეს“ კი მოუგო, მაგრამ საკუთარ გულშემატკივრებს [illegible] ანად გაუხეთქა გული. საქმე ის გახლავთ, რომ „კოლონი“ [illegible] იმში 3:0-ს იგებდა, მერე [illegible] და აკინომ ორი ბურთი გაიტანეს, თუმცა საბოლოოდ გუნდებმა [illegible] ბურთი გაცვალეს და „კოლონმა“ დამსახურებული 4:3 იზეიმა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:4 | 8 |
| როსარიო | 4 | 2 | 2 | 0 | 10:5 | 8 |
| ინდეპენდიენტე | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| კილმესი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| ბანფილდი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 8 |
| სან ლორენსო | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| რასინგი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| არ. ხუნიორსი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| რივერ პლეიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ველეს სარსფილდი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:4 | 6 |
| ოლიმპო | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| ხიმნასია დე ხუხუი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ოლდ ბოისი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ხიმნასია ლა პლატა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:8 | 4 |
| ესტუდიანტესი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| კოლონი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 | 3 |
| ლანუსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:10 | 2 |
| არსენალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| ინსტიტუტო | 3 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |
| ტირო ფედერალი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:9 | 0 |

# მარადონა: მესი ჩემი საფეხბურთო მემკვიდრეა



ლიონელ მესი

**თითქმის** კვირა არ გასულა, ლეო მესის თავისის ოსტატობით გულშემატკივარი არ მოეხიბლოს. თუ 25 აგვისტოს „ბარსას“ ნორჩმა ფორვარდმა „გამპერის თასზე“ „კამპ ნოუზე“ შეკრებილი 91 ათასი კაცი გადარია, 29-ში დიეგო მარადონას საავტორო პროგრამაში გამოიჩინა თავი. დიდი დიეგოს შოუმენობა უკვე ძველი ამბავია. მსოფლიო ფეხბურთის მეფე არგენტინულ „კანალ 13-ში ორშაბათობით სახელგანთქმულ სტუმრებს იწვევს. პელეს შემდეგ იგი სტუდიაში ლეო მესისთან ერთად იჯდა, თუმც იქვე იყვნენ სახელგანთქმული ესპანელი მსახიობი ანტონიო ბანდერასი, „კორინთიანსის“ არგენტინელი ფეხბურთელი კარლოს ტევესი, ურუგვაელი ძველჩაუქი ენცო ფრანჩესკოლი, მომღერალი ნატალია ორეირო და პატაგონიური როკ ჯგუფი „ლოს პიოხოსი“. საუბრის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ფეხბურთი იყო და მარადონამაც „ბარსელონას“ 18 წლის მოიერიშესადმი საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

„ჰოლანდიაში“ ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ბიჭის თამაშს თვალყურს ვადევნებდი. მინდა, გითხრათ, რომ იგი ნამდვილი ლიდერია და არგენტინის ნაკრებისა თუ მსოფლიოს ფეხბურთისადმი ფასდაუდებელ სამსახურის გაწევა შეუძლია. ღმერთის ბოძებული უდიდესი ნიჭი გაქვს და ღმერთსავე ვევედრები, მის სწორად გამოყენებაში დაგეხმაროს“ — ეს ბოლო ფრაზა დიეგო არმანდომ თავად ახალ[illegible]ა ფეხბურთელს უთხრა და მხარზე ალერსიანად დაჰკრა ხელი.

მერე მესიმ, მრადონამ, ტევესმა და ფრანჩესკოლიმ იქვე სტუდიაში თავბურთი ითამაშეს (უამისოდ როგორ იქნებოდა) და საერთო ჟრიამულში ბანდერასიც მიიწვიეს, ოღონდ ამ უკანასკნელმა რატომღაც თავი შეიკავა. შოუს დასასრულს გამხიარულებულმა დიეგომ არგენტინაში ფენომენად და „მეორე მარადონად“ შერაცხულ ლეო მესისთვის კვლავ არ დაიშურა ქათინაურები, ოღონდ თავისებურად ინაგლა კიდეც: „ამბობენ, რომ შენ მოედანზე ჩემი შემცვლელი ხარ. კი, ბატონო, იყავი, „ბარსას“ და არგენტინის ნაკრებს არანაკლებად გაუმართლა, მეორე დიეგო არმანდო რომ იპოვეს. თანაც მე ხომ კონკურენციას ველარ გაგიწევ. ამ ოხერმა ტელევიზიამ მთელი დროს წამართვა და ფეხბურთის სათამაშოდ აღარ მცალია...“

**ლადო ხომერიკი**



დიეგო მარადონა



რობინიომ ზინედინ ზიდანიც აღაფრთოვანა

# საოცარი რობინიო და სულ სხვა აიმარი



პაბლო აიმარი

**ბევრისთვის** ნანატრი ესპანური სეზონიც დაიწყო და საკმაოდ დამაინტრიგებლადაც. „ბარსელონას" ვიტორიაში თამაში აქამდეც უჭირდა და მიუხედავად დიდი უპირატესობისა, „ალავესთან" გამარჯვება ვერ შეძლო. ბასკებმა კი თავის მხრივ რაც შეეძლოთ, გააკეთეს და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ როცა „ალავესი" პრიმერადივიზიონშია, მას დამატებითი ხიბლი აქვს.

მთავარი მეტოქის წაბორძიკებით შეგულიანებულმა „რეალმა" ცოტა კი იწვალა, მაგრამ კიდევ ერთ დებიუტანტ „კადისს" მაინც მოუგო და ახალწვეულებითაც მოიწონა თავი. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ჟულიო ბაპტისტასა და რობინიოს დებიუტი ძალიან წარმატებული გამოდგა, რასაც შეიძლება, თავად „სამეფო კლუბის" უფროსობაც არ ელოდა. ასე, რომ წლეულს ჩემპიონობისთვის ბრძოლა ალბათ ერთიორად მძაფრი იქნება.

პირველი ტურის მერე ბრაზილიელი რობინიო ბევრმა აქო და ადიდა, მათ შორის იყო „რეალის" ფრანგი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანიც: „იგი ძალიან ძლიერია და უდიდესი პოტენციალი აქვს. ასეთ მოთამაშესთან ერთად ძნელია, შემტევი ფეხბურთი არ ითამაშო. რობინიო ჩვენ ბევრად გაგვაძლიერებს. აი, მეტოქეებისთვის კი საქმე უფრო და უფრო ცუდად წავა."

თავი მოგვანატრა „სელტამაც". პრიმერადივიზიონში დაბრუნებულმა ვიგოელებმა მშვენიერი მატჩი გამართეს და ვინძლო წლეულს ბოლო სამეულში მოხვედრა არც კი დაემუქროს.

მძლავრად დაიწყო „ბილბაომაც". ბასკები ამ სეზონში ოთხეულში მოხვედრაზე ფიქრობენ და, როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ. მათი ახალგაზრდა ფორვარდის ფერნანდო ლორენტეს თამაშით კი სპეციალისტები კმაყოფილნი დარჩნენ.

ყველაზე მოულოდნელი პამპლონაში „ვილიარეალის" მარცხი იყო, თუმც მანუელ პელეგრინის იხტიბარი არ გაუტეხავს — ბოლომდე ჩემპიონთა ლიგაზე ვიყავით გადართულები და ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდებაო. „ოსასუნამ" ამჯერადაც დაამტკიცა, რომ მას ნებისმიერი მრისხანე მეტოქის წაქცევა ხელეწიფება და ალბათ წლეულსაც ბევრს გაუმწარებს ცხოვრებას.

„მესტალიაზე" გამართულმა საინტერესო მატჩმა კი გვაჩვენა, რომ „ვალენსია" ისევ ანგარიშგასაწევი ძალა იქნება და ოთხეულში მოხვედრისთვის იბრძოლებს, თუმც „ღამურების" ახალ თავკაცს კიკე ფლორესს კიდევ ბევრი აქვს სამუშაო.

პრიმერადივიზიონში დაბრუნებულ პატრიკ კლუივერტს სჯერა, რომ მის ახალ გუნდს ოთხეულში მოხვედრა თავისუფლად შეუძლია და გულშემატკივარს გოლებს ჰპირდება. გარდა ამისა, ჰოლანდიელმა კლუბის ერთ-ერთი ლიდერი პაბლო აიმარი შეაქო. მოგეხსენებათ, „ღამურებმა" „ბეტისს" სწორედ ამ უკანასკნელის მშვენიერი გოლით მოუგეს.

პატრიკ კლუივერტი: „პაბლო ფანტასტიური ფეხბურთელია. მის გვერდზე თამაში ძალიან მსიამოვნებს. რასაკვირველია, სხვა მოთამაშეებზეც იგივე ითქმის. „ვალენსია" ბრწყინვალე გუნდია, თუმც აიმარის დარი პარტნიორი მაინც სულ სხვაა."

სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ დანარჩენი მომავლისთვის გადავდოთ. წინ მთელი 37 ტური და ბევრად დიდი სიამოვნება გველის.

**გოჩა ბაგლუანი**

# რიველინო, რობინიოს ფანი...

**„რობინიო** საოცარ ფეხბურთს თამაშობს. მადრიდის „რეალს" ფენომენური მოთამაშეები არც ადრე აკლდა, მაგრამ რობსონ დე სოუზა ყველა დანარჩენისგან განსხვავებულია — სწრაფი, მოხერხებული, ბრილიანტის ტექნიკის და გოლის ალღოს მქონე. დამიჯერეთ, ეს ყმაწვილი „რეალს" ჯილდოებს ზვავით დააყრის თავზე" — განუცხადა ბრაზილიური და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა რიველინომ მადრიდულ „ასს".



ლეგენდარული რივილინო

პენტაკამპეონთა ძველი მობურთალი ესპანურ მედიას მონაკოში გაესაუბრა, სადაც ჯორჯ ბესტთან და სხვა დანარჩენ მთაკაცებთან ერთად დიდების ხეივანში კვალის დასატოვებლად ჩავიდა, „კადის-რეალის" საპრიმერო მატჩი ტელევიზორში ვნახე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რობინიოს რისი გაკეთებაც შეუძლია. გახსოვთ ის ეპიზოდი, დე სოუზას მწვრთნელმა რომ მოედანზე უხმო? იმ მომენტში კადისელებს ანგარიში ახალი გათანაბრებული ჰქონდათ და საერთოდ „რეალი" უკვე გატეხილი ჩანდა, თუმცა... შემოვიდა რობინიო და მისი წყალობით სამეფო გუნდმა ძნელ თამაშში გაიმარჯვა" — აღნიშნა ახალგაზრდა თანამემამულის ჯადოქრობით აღტაცებულმა რიველინომ.

ლეგენდარული მობურთალი თანამედროვეობის ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელად „ბარსელონას" ასევე ბრაზილიელ რონალდინიოს აღიარებს, თუმცა სჯერა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს" „მხსნელი ყმაწვილი" მომავალში უპირობო ნომერ პირველი გახდება. „რონალდინიო ახლა ყველაზე ძლიერია, ოღონდ გარკვეული წლების მერე მისი ადგილი მსოფლიო ფეხბურთის ცენტრში შეიძლება რობინიომ დაიკავოს. როგორც ბრაზილიელს, ეს ძალიან მესიამოვნება — ფეხბურთში მბრძანებლობა ხომ ჩემს თანამემამულეებს ეკუთვნის" — ივარაუდა ძველმა ვარსკვლავმა.

კითხვაზე, თუ რითი ცხოვრობს დღეს რიველინო, დიდების ხეივნის სტუმარმა მიუგო: „რახან ფეხბურთის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, მეც ჩემი სპორტული სკოლა გავხსენი. აი, ნახავთ, იგი მსოფლიოს რამდენ ტალანტ მობურთალს გაუზრდის... გარდა ამისა, „ესტადიო მორუმბის" მახლობლად მშვენიერი რესტორანიც მაქვს, სახელად „პარადა ბოავიშტა". უახლოეს მეგობრებს იქ ვპატიჟებ ხოლმე და მჯერა, ადრე თუ გვიან მადრიდის „რეალი" და რობინიოც მომაკითხავენ..."

**ლადო ხომერიკი**

# ჰოლანდიელთა საუკეთესო მარკ ვან ბომელი

**მარკ ვან ბომელი** ჰოლანდიის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. პსვ-ს ყოფილი და „ბარსელონას" ამჟამინდელი ნახევარმცველი გუშინ სამშობლოში გახლდათ, რათა იქაური გამოცემების, „დე ტელეგრააფის" და „VI"-ს მიერ დაწესებული საპატიო ჯილდო მიეღო. შეგახსენებთ, რომ ვან ბომელმა 2004-05-ის სეზონში პსვ-ს შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონობა და თასზე გამარჯვება იზეიმა.



„ძალიან მიხარია, რომ საუკეთესო ფეხბურთელს ტიტული მე გადმომცეს. ვეცდები, ჩემი გულშემატკივარი არ გავაწბილო და სამომავლოდ კიდევ უფრო ბევრი ჯილდოები მოვიგო" — აღნიშნა „ბარსას" მოთამაშემ.

ვან ბომელმა „დე ტელეგრააფის" პრიზი აიაქსელ მაქსველს ჰქონდა, ხოლო ძველ კეთილ დროს ჰოლანდიელთა საუკეთესოსო ჯილოდ დიდ იოჰან კრუფს (1973-74),ფრანკ რაიკარდს (1984-85 და 1986-87) და მარკ ოვერმარსსაც (1992-93) მოუგიათ.

**ლადო ხომერიკი**

# სარაგოსამ სელადესი იშოვა



**ალბერტ სელადესი**, მადრიდის „რეალის" ყოფილი ნახევარმცველი, მომავალი 3 სეზონის განმავლობაში არაგონულ „სარაგოსაში" ითამაშებს. 30 წლის მობურთალი „ლა რომარედას" კლუბმა უფასოდ ჩაიგდო ხელში, რადგანაც მას „რეალთან" კონტრაქტი შარშანდელ სეზონში დაუმთავრდა.

„სარაგოსა" შესანიშნავი გუნდია და თავს არ დავზოგავ, რათა მან გამარჯვებებს მიაღწიოს" — განაცხადა არაგონელთა ახალმა ფეხბურთელმა თავის ოფიციალურ პრეზენტაციაზე. „სარაგოსა" სელადესის კარიერაში რიგით მეხუთე გუნდია — აქამდე ანდორელ ნახევარმცველს „ბარსელონაში", „ბორდოში", ვიგოს „სელტასა" და მადრიდის „რეალში" უთამაშია.

**ლადო ხომერიკი**

## ინგლისი

**ჩემპიონატი. VI ტური**

**ბრაიტონი 2:0 პლიმუთი**

1:0 რობინსონი (11), 2:0 კარპენტერი (46)

**ქრიუ 1:3 შეფილდი**

0:1 შიპერლი (15), 1:1 ფოსტერი (17), 1:2 ქუინი (50), 1:3 კაბა (56)

**ქოვენთრი 1:1 საუთჰემპტონი**

1:0 სკოუკროფტი (6), 1:1 ფულერი (12)

**დერბი 1:2 უოტფორდი**

1:0 ბოლდერი (4), 1:1 სპრინგი (67), 1:2 კარლაისლი (89)

**ჰალი 1:1 ლესტერი**

1:0 ფაგანი (51), 1:1 მაკარტი (65)

**სტოკი 3:1 ნორვიჩი**

1:0 კოლარი (9), 1:1 ეშტონი (38), 2:1 ბარპერი (45), 3:1 სიდიბე (69)

**ლუტონი 2:1 მილუოლი**

1:0 ფინი (12), 1:1 მეი (46), 2:1 კ. დევისი (78)

**იფსვიჩი 0:4 პრესტონი**

0:1, 0:2 ნაგენტი (31, 34), 0:3 ჯონსი (45), 0:4 აგიემანგი (85)

**რედინგი 2:1 ბარნლი**

1:0 ლიტა (7), 1:1 აკინბაი (42), 2:1 დოილი (70)

**ვულვზი — ქუინზ პარკი**

*გუშინ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:7 | 15 |
| რედინგი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:3 | 13 |
| ლუთონი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:6 | 13 |
| უოტფორდი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:8 | 11 |
| საუთჰემპტონი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| ლიდსი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| სტოკი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 10 |
| იფსვიჩი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:8 | 10 |
| დერბი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| ჰალი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| პრესტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| ვულვზი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| ქუინზ პარკი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:5 | 8 |
| კრ. პალასი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ქოვენთრი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | 6 |
| ბრაიტონი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:7 | 6 |
| ქრიუ | 6 | 1 | 3 | 2 | 8:11 | 6 |
| ლესტერი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:11 | 6 |
| ბარნლი | 6 | 1 | 1 | 4 | 10:11 | 4 |
| კარდიფი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| პლიმუთი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| უენსდი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | 3 |
| ნორვიჩი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:8 | 3 |
| მილუოლი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | 1 |

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. VI ტური**

**გენიონი 0:0 ამიენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრეტეი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:4 | 14 |
| ბასტია | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| ლორიანი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| სედანი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| შატორუ | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 10 |
| გრენობლი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:6 | 10 |
| ისტრი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| ბრესტი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 9 |
| გენიონი | 6 | 2 | 3 | 1 | 4:4 | 9 |
| ვალანსი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | 9 |
| კლერმონი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:5 | 8 |
| ამიენი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:4 | 7 |
| რეიმსი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:4 | 7 |
| გენგამი | 6 | 1 | 4 | 1 | 4:4 | 7 |
| მონპელიე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| ლავალი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:7 | 6 |
| დიჟონი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | 5 |
| ლე ავრი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | 5 |
| სეტე | 6 | 0 | 3 | 3 | 3:7 | 3 |
| კაენი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | 1 |

## ბრაზილია

**სერია A. XXII ტური**

სან კაეტანო — გოიასი 0:1; ბრაზილიენსე — პალმეირასი 3:2; ატლეტიკო — ჟუვენტუდე 2:2; ფლამენგო — ფიგეირენსე 2:2; ატლეტიკო მ. — პონტე პრეტა 1:0; პარანა — სან პაულო 0:4; ინტერნასიონალი — კრუზეირო 4:1; კორინთიანსი — ბოტაფოგო 3:3; სანტოსი — კურიტიბა 2:0; ფორტალეზა — ვასკო 4:2; ფლუმინენსე — პაისანდუ 5:2

## აშშ

**მეიჯორლიგა. XXV ტური**

კანზასი — კოლუმბუსი 0:1; ნიუ ინგლენდი — ვაშინგტონი 2:1; დალასი — ჩივასი 2:2; სან ხოსე — ლოს ანჯელესი 2:1

## პორტუგალია

**სუპერლიგა. II ტური**

**ამადორა 1:1 ბოავიშტა**

0:1 როსარიო (45), 1:1 მაურისიო (75)

გაძევება: ტიაგუ (56, ბოავიშტა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რიუ ავე | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ჟილ ვისენტე | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| პორტუ | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| სპორტინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ბრაგა | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ნასიონალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ნავალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბელენენსეში | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ფერეირა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| აკადემიკა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ბოავიშტა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ამადორა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სეტუბალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბენფიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| მარიტიმუ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ლეირია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| პენაფიელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| გიმარაეში | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. III ტური**

**ფიურტი 2:2 მიუნხენი**

0:1 ჰოფმენი (19), 1:1 ტიმი (43), 1:2 შეფერი (70), 2:2 ბარუტი (86პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუნხენი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ზიგენი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| პადერბორნი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| ბრაუნშვაიგი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| ალემანია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ფრაიბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ოფენბახი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | 6 |
| ბოხუმი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:4 | 5 |
| ფიურტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| კოტბუსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ბურგჰაუზენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| აუე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| კარლსრუე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| უნტერჰახინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ალენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | 1 |
| ჰანზა | 3 | 0 | 0 | 3 | 4:9 | 0 |
| ზაარბრიუკენი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:12 | 0 |

## შვედეთი

**ალსვენსკა. XX ტური**

**ჰამარბი 0:0 ელფსბორგი**

**ლანდსკრონა 0:0 ჰალმშტადი**

**კალმარი 2:0 ჰელსინგბორგი**

**იორგრიტე 1:2 გიოტებორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 20 | 12 | 4 | 4 | 41:22 | 40 |
| გიოტებორგი | 20 | 11 | 6 | 3 | 26:11 | 39 |
| მალმიო | 20 | 10 | 5 | 5 | 29:20 | 35 |
| ჰამარბი | 20 | 9 | 6 | 5 | 34:22 | 33 |
| ჰელსინგბორგი | 20 | 10 | 3 | 7 | 28:30 | 33 |
| კალმარი | 20 | 7 | 8 | 5 | 19:17 | 29 |
| ელფსბორგი | 20 | 7 | 6 | 7 | 26:29 | 27 |
| ჰეკენი | 20 | 8 | 2 | 10 | 25:24 | 26 |
| იორგრიტე | 20 | 7 | 4 | 9 | 26:30 | 25 |
| გეფლე | 20 | 7 | 4 | 9 | 20:25 | 25 |
| ლანდსკრონა | 20 | 6 | 5 | 9 | 20:32 | 23 |
| ჰალმსტადი | 20 | 6 | 4 | 10 | 28:29 | 22 |
| სუნდსვალი | 20 | 4 | 5 | 11 | 24:41 | 17 |
| ასირისკა | 20 | 4 | 2 | 14 | 15:29 | 14 |

## ნორვეგია

**ტიპელიგა. XIX ტური**

**ბრანი 4:0 ფრედრიკშტადი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 19 | 11 | 5 | 3 | 35:21 | 38 |
| ვოლერენგა | 18 | 11 | 4 | 3 | 31:18 | 37 |
| ლინი | 19 | 9 | 7 | 3 | 27:16 | 34 |
| ვიკინგი | 19 | 10 | 4 | 5 | 29:23 | 34 |
| ლილესტრიომი | 19 | 10 | 3 | 6 | 30:25 | 33 |
| ბრანი | 19 | 8 | 5 | 6 | 36:22 | 29 |
| ოდ გრენლანდი | 19 | 7 | 3 | 9 | 19:34 | 24 |
| ფრედრიკსტადი | 19 | 6 | 5 | 8 | 27:30 | 23 |
| ჰამ კამი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:27 | 22 |
| რუსენბორგი | 19 | 6 | 3 | 10 | 31:33 | 21 |
| ტრომსიო | 19 | 3 | 9 | 7 | 20:25 | 18 |
| მოლდე | 18 | 5 | 3 | 10 | 23:35 | 18 |
| ბოდიო გლიმტი | 19 | 4 | 4 | 11 | 22:32 | 16 |
| ალესუნდი | 19 | 3 | 7 | 9 | 17:28 | 16 |

## მექსიკა

**აპერტურა. V ტური**

ტოლუკა — პაჩუკა 1:1; ატლანტე — ვერაკრუსი 4:5; ხაგუარესი — მონტერეი 1:2; დორადოსი — ნეკაქსა 1:1; ტიგრესი — სან ლუისი 1:0; ატლასი — ამერიკა 1:3; პუმასი — კრუს ასული 0:5; ტეკოსი — მორელია 2:1; სანტოსი — ჩივასი 3:0

## იაპონია

**ჯეი ლიგა. XX ტური**

გამბა ოსაკა — იოკოჰამა 3:2; კავასაკი — ჰიროსიმა 1:1; ივატა — ტოკიო 1:1, ნიიგატა — ჯეფ იუნაიტედი 1:1; ვერდი — კაშიმა 2:0; კობე — ოიტა 2:1; ნაგოია — ურავა 0:2; ომია — შიმიცუ 3:2; კაშივა — ჩერეზო 1:1






ჰელმუტ ფლეშერი და კრისტიან სპრინგერი

# მაკაი+პოდოლსკი=მიულერს

**სულ** სამი ტური დასჭირდა, „ბაიერნს“ რომ ყველაფერი „თავის ადგილზე“ დაეყენებინა. ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის დარად, მიუნხენელები ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერები არიან და სხვებთან შედარებით აშკარად ბევრად სოლიდურად გამოიყურებოდნენ. ეგებ დასკვნების კეთება ძალიან ნაადრევია, მაგრამ უკვე გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ფელიქს მაგათის გუნდს პირველობაში ალბათ ვერავინ შეეცილება.

ფელიქს მაგათი, ცხადია, უფრო ფრთხილობს: „ახლა 9 ქულა გვაქვს და სექტემბერს უდანაკარგოდ ვხვდებით. ეს ძალიან კარგია, რადგანაც სეზონი რეალურად სწორედ ახლა იწყება. ასე რომ, ყველაფერი წინაა და სამუშაოც ბევრი გვაქვს“.

გასულ უქმეებზე „ბაიერნმა“ „ჰერტა“ საბოლოო ჯამში დიდი ანგარიშიც კი დაამარცხა, მაგრამ ადვილი მატჩი ნამდვილად არ ჰქონია. ბერლინელებს ძალიან სურდათ, ბოლო 28 წლის მანძილზე მიუნხენელთათვის პირველად მოეგოთ გასვლაზე და არც ქულაზე იტყოდნენ უარს, თუმც მასპინძლებმა გუნდის კაპიტნის მიხაელ ბალაკისა და ფელიქს მაგათის ჭკვიანური ქმედებების წყალობით მაინც შეძლეს მეტოქის გატეხვა. „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა და ქომაგები კი ორმაგად გაახარა მეჰმედ შოლმა. მინდორზე 4 წუთის შესულმა ვეტერანმა კოხტა გოლი შეაგდო და აჩვენა, რომ მაღალ დონეზე თამაში ისევ შეუძლია.

გერმანული ფეხბურთისა და „ბაიერნის“ ლეგენდა გერდ მიკლერი კი გუნდის ხელმძღვანელობას ლუკაშ პოდოლსკის შეძენას ურჩევს. მისი აზრით, პოდოლსკისა და მაკაის დუეტი შეუჩერებელი იქნება, ხოლო მაკაი ამის წყალობით ბევრად მეტ გოლს გაიტანს და სწორედ მიულერის რეკორდს გააუმჯობესებს.

„მაკაი ამ სეზონში ბევრად უკეთ ითამაშებს. მისი კლასის ფორვარდი მსოფლიოში სულ რამდენიმეა. იმედია და მჯერა, რომ იგი ჩემს რეკორდს გააუმჯობესებს, ხოლო თუ „ბაიერნი“ პოდოლსკის იყიდის, ეს ყველასთვის კარგი იქნება და კლუბს წარმატებას მოუტანს“ — აღნიშნა მიულერმა.

მიუნხენელთა მთავარმა კონკურენტებმა „ვერდერმა“ და „შალკემ“ პირველი ქულები დაკარგეს. თუ ბრემენელებს „შტუტგარტის“ სახით ძლიერი მეტოქე ჰყავდათ, გელზენკირხენელებს „გლადბახთან“ წაბორძიკება არ ეპატიებათ. ასევე წაბორძიკდა და პირველი გოლი გაუშვა „ჰამბურგმაც“. მიუხედავად ამისა, ყველა ზემოთ ხსენებული კლუბის მწვრთნელები ოპტიმიზმს ინარჩუნებენ და ჟურნალისტებს საკმაოდ მხნედ და იმედიანად ესაუბრებიან.

პესიმიზმმა კი „ლევერკუზენის“ თავკაცი კლაუს აუგენტალერი შეიპყრო. „ფარმაცევტებმა“ არცთუ კარგად დაიწყეს და განსაკუთრებით დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვთ. აუგენტალერი კი რამდენიმე შეგირდზე აშკარად ნაწყენი ჩანს.

„თამაშის წესები კარგად ვიცი და ვხვდები, შეიძლება კლუბის დატოვება მომიხდეს. თუმცა ფეხბურთელისთვის ამით ბევრი არაფერი იცვლება, რადგანაც სხვა მწვრთნელი მოვა და თავისი წესები მასაც ექნება. ასე რომ, ზოგიერთს ვთხოვ, კარგად დაფიქრდეს და ყველაფერი გაიაზროს. ეროვნული ნაკრები ნამდვილად უპირველესია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, ყოველკვირეულად ხელფასს ვინ გვიხდის“ — განაცხადა აუგენტალერმა.

უკვე რაპოლდერის „კიოლნს“ [illegible] პირველი მარცხი იწვნია, მაგრამ კიდევ ერთხელ სასიამოვნოდ გაგვაოცა. „თხებმა“ საკმაოდ ძლიერ „ლაუტერნს“ ბრწყინვალედ [illegible] ჰამიტ ალტინტოპის [illegible] გოლი, ბოლო 9 წუთში [illegible] და რომ არა დამატებულ [illegible] დანიშნული პენალტი, ქულასაც გამორჩებოდნენ.

სხვათა შორის, ამ პენალტის [illegible] დი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. „კიოლნის“ ფეხბურთელები, ცხადია, ჰელმუტ ფლეშერის გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი იყვნენ, [illegible] კლუბის ქომაგები საერთოდაც [illegible] ვერ იკავებდნენ და მსაჯს სხვადასხვა ინტერნეტ ფორუმებზე [illegible] რი სიტყვებით ლანძღავდნენ. [illegible] შერის თქმით, მას ხშირად კი დაურეკეს და დაემუქრნენ.

საქმე ის არის, რომ ფლეშერსა და „კიოლნს“, კერძოდ კი გუნდის ნახევარმცველ კრისტიან სპრინგერს [illegible] ლი ნაცნობობა აკავშირებთ. 2002 წელს „თხებმა“ „დორტმუნდთან“ 1:2 წააგეს და ამან დიდწილად განაპირობა მათი ბუნდესლიგიდან გავარდნა. იმ მატჩში კი მსაჯი ფლეშერი იყო, რომელმაც სპრინგერზე პენალტი დანიშნა.

ჰელმუტ ფლეშერი: „მე [illegible] გადაწყვეტილება მივიღე. [illegible] ასე ადრეც მოქცეულა და [illegible] კიდევ მოიქცევა. ჩვენი [illegible] მსაჯობაა. ძალიან კარგი იქნება, თუ უსიამოვნო ზარები არ იქნება და უსამართლოდ არ გამაკრიტიკებენ“.

**გიორგი კაკაბაძე**

# აუ, კაკაუ!

**ისედაც** „შტუტგარტის“ შეჯანჯღარებულ ჯოვანი ტრაპატონის კიდევ ერთი პრობლემა დაემატა — ბრაზილიელი ფორვარდი კაკაუ ვარჯიშზე დაშავდა და თვენახევარი ვერ ითამაშებს. კაკაუს ამ კვირის ბოლს მუხლის ოპერაციას გაუკეთებენ და საუკეთესო შემთხვევაში გუნდს ოქტომბრის შუაში დაუბრუნდება.

„შტუტგარტმა“ სეზონი ამაზრზენად დაიწყო, სამ ტურში ერთი მატჩიც არ მოუგია. ქომაგებს ჯოვანი ტრაპატონის ძალიან ეიმედებოდათ, ჩემპიონობაზე ოცნებობდნენ, გუნდი კი მე-13 ადგილზეა. კაკაუს გარდა ტრავმირებულნი არიან მეგოლე მარკო შტრელერი და შემტევი ნახევარმცველი დანიელ ბიროფკა. ტრაპატონის მხოლოდ ორი თავდამსხმელი შერჩა — იონ დალ ტომასონი და 20 წლის მარიო გომეში. ასეთ ვითარებაში „შტუტგარტს“ გაუჭირდება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბუნდესლიგის გარდა უეფას თასზე ბრძოლაც მოუწევს.

**მაშა ხუციშვილი**



ჯოვანი ტრაპატონი

# წარმოგიდგენთ

## ინგლისი. I ლიგა

### 2 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 23 | ბორნმუთი-ტრანმერი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:45 | 24 | ბრედფორდი-ჩესტერფილდი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 22:45 | 25 | დონკასტერი-ბლეკპული | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 22:45 | 26 | ჯილინგემი-ბარნსლი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 22:45 | 376 | ჰადერსფილდი-სკანთორპი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |

### 3 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 27 | ჰარტლპული-იოვილი | 1.70 | 3.30 | 4.35 | 1.12 | 1.22 | 1.87 |
| 15:05 | 28 | ბრისტოლი-კოლჩესტერი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 16:00 | 29 | ნოტინგემი-ბრენტფორდი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 16:00 | 30 | პორტ ვეილი-როტერჰემი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 16:00 | 31 | უოლსოლი-სუინდონი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

### 4 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 32 | საუთენდი-ოლდემი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |

## ინგლისი. II ლიგა

### 2 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 45 | დარლინგტონი-ნოტსი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 22:45 | 46 | გრიმსბი-სტოკპორტი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:45 | 47 | ლინკოლნი-რექსემი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 22:45 | 48 | ბერი-კარლაილი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 22:45 | 49 | ჩელტენემი-ბარნეტი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 22:45 | 50 | ჩესტერი-მენსფილდი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 22:45 | 51 | რაშდენი-პიტერბრო | 2.75 | 3.30 | 2.25 | 1.50 | 1.23 | 1.33 |
| 22:45 | 52 | შრიუსბერი-ოქსფორდი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 22:45 | 53 | უიკომბი-ნორთჰემპტონი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |

### 3 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 54 | როჩდეილი-ტორკი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 16:00 | 55 | ლეიტონი-როვერსი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

### 4 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 56 | მაკლსფილდი-ბოსტონი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |

## ინგლისი. კონფერენსი

### 2 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 68 | ფორესტ გრინი-გრეისი | 2.75 | 3.40 | 2.15 | 1.52 | 1.20 | 1.31 |
| 22:45 | 69 | კიდერმინსტერი-კონვი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:45 | 70 | იორკი-კემბრიჯი | 2.05 | 3.40 | 3.00 | 1.27 | 1.21 | 1.59 |

### 3 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 71 | გრეივსენდი-საუთპორტი | 2.05 | 3.40 | 2.95 | 1.27 | 1.20 | 1.57 |
| 16:00 | 72 | სტივენეიჯი-ჰალიფაქსი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 16:00 | 73 | აკრინგტონი-უოკინგი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 15:00 | 74 | ბარტონი-სკარბორო | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 15:00 | 75 | დაგ ენდ რედი-ექსეტერი | 2.75 | 3.40 | 2.20 | 1.52 | 1.22 | 1.33 |
| 15:00 | 76 | ჰერეფორდი-ალტრინჰემი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 15:00 | 77 | მორიკომბი-ტემუორთი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |

### 5 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 78 | ალდერშოტი-ქროული | 1.90 | 3.50 | 3.30 | 1.23 | 1.20 | 1.69 |

## გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

### 1 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 89 | ჰოფენჰაიმი-აალენი | 1.60 | 3.60 | 4.50 | 1.10 | 1.18 | 2.00 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი

### 2 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 147 | კაენი-ამიენი | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |

## ბელგია. II დივიზიონი

### 31 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 148 | დესელი-გეელი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 20:30 | 149 | ეუპენი-რონსე | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 22:00 | 151 | ვაასლანდი-ლომელი | 1.75 | 3.40 | 3.85 | 1.15 | 1.20 | 1.80 |
| 20:30 | 152 | ტუბეკე-ოსტენდე | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 20:30 | 153 | ვიგორი-დაინცე | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 22:00 | 154 | ანტვერპენი-მონსი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 22:00 | 155 | კორტრაიკი-ვირტონი | 1.85 | 3.20 | 3.50 | 1.17 | 1.21 | 1.67 |
| 22:00 | 156 | მეხელენი-სტ.ჟილი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |

## ჩეხეთი

### 1 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 363 | სლოვაცკო-ბოლესლავი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |

## ნორვეგია. I დივიზიონი

### 4 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 186 | ალტა-სტრიომსგოდსეტი | 2.80 | 4.00 | 2.00 | 1.64 | 1.16 | 1.33 |
| 18:00 | 187 | ბრინი-ჰიოდი | 1.45 | 4.20 | 5.50 | 1.07 | 1.14 | 2.38 |
| 18:00 | 188 | ჰიონეფოსი-სოგნდალი | 2.05 | 3.80 | 2.80 | 1.33 | 1.18 | 1.61 |
| 18:00 | 189 | ლოვ ჰამი-კონგსვინგერი | 2.40 | 3.80 | 2.35 | 1.47 | 1.18 | 1.45 |
| 18:00 | 191 | ჰორს გრენლანდი-მანდალი | 1.65 | 3.70 | 4.30 | 1.14 | 1.19 | 1.98 |
| 18:00 | 192 | სანდეფიორდი-სკეიდი | 1.40 | 4.50 | 6.00 | 1.06 | 1.13 | 2.57 |

### 5 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 190 | მოსი-ფოლო | 1.45 | 4.00 | 5.60 | 1.06 | 1.15 | 2.33 |

## ფინეთი

### 31 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 210 | კტპ-ჰიკ | 3.20 | 3.30 | 1.95 | 1.62 | 1.21 | 1.22 |
| 20:00 | 211 | ტურკუ-იარო | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

### 1 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 212 | ტპ 47-ჰაკა | 5.30 | 3.50 | 1.55 | 2.10 | 1.19 | 1.07 |
| 20:00 | 215 | კუოპიო-ლაჰტი | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 216 | მიუპა-როვანიემი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 234 | ვაშინგტონი-სოლტ ლეიკი | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |
| | | **ურუგვაი** | | | | | | |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 243 | პენიაროლი-ტაკუარემბო | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **3 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 253 | უელსი-ინგლისი | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| 18:00 | 254 | ანდორა-ფინეთი | 20.00 | 7.50 | 1.07 | 5.45 | 1.01 | 1.00 |
| 18:00 | 255 | ჩრდ.ირლანდია-აზერბაიჯანი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 256 | რუსეთი-ლიხტენშტაინი | 1.03 | 9.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.61 |
| 19:00 | 257 | ესტონეთი-ლატვია | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:15 | 258 | შვედეთი-ბულგარეთი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 19:30 | 259 | შვეიცარია-ისრაელი | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 20:00 | 260 | მოლდოვა-ბელარუსი | 3.60 | 3.10 | 1.95 | 1.66 | 1.26 | 1.19 |
| 20:30 | 262 | შოტლანდია-იტალია | 6.00 | 3.40 | 1.55 | 2.17 | 1.23 | 1.06 |
| 21:00 | 263 | სომხეთი-პოლანდია | 20.00 | 7.00 | 1.08 | 5.18 | 1.02 | 1.00 |
| 22:00 | 264 | რუმინეთი-ჩეხეთი | 2.95 | 3.20 | 2.20 | 1.53 | 1.26 | 1.30 |
| 22:00 | 265 | თურქეთი-დანია | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 22:00 | 267 | ბოსნია-ბელგია | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 22:05 | 268 | ისლანდია-ხორვატია | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| 22:30 | 269 | სერბია-ლიტვა | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 22:30 | 270 | პოლონეთი-ავსტრია | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 22:45 | 271 | სლოვენია-ნორვეგია | 2.30 | 3.00 | 2.85 | 1.30 | 1.27 | 1.46 |
| 22:45 | 272 | უნგრეთი-მალტა | 1.05 | 8.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.06 |
| 23:00 | 273 | საფრანგეთი-ფარერები | 1.01 | 9.50 | 40.00 | 1.00 | 1.00 | 7.67 |
| 23:45 | 274 | პორტუგალია-ლუქსემბურგი | 1.01 | 9.50 | 40.00 | 1.00 | 1.00 | 7.67 |
| 23:45 | 291 | აშშ-მექსიკა | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 23:00 | 293 | ბოლივია-ეკვადორი | 2.30 | 3.20 | 2.60 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 23:45 | 294 | პარაგვაი-არგენტინა | 2.80 | 3.00 | 2.30 | 1.44 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 295 | ვენესუელა-პერუ | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 23:00 | 296 | ბრაზილია-ჩილე | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 297 | ურუგვაი-კოლუმბია | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | [illegible] | 1.59 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **3 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 364 | სლოვაკეთი-გერმანია | 3.90 | 3.30 | 1.75 | 1.78 | 1.20 | 1.14 |
| 23:45 | 365 | ესპანეთი-კანადა | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 1.53 |
| | | **იაპონია. თასი** | | | | | | |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 14:00 | 326 | ურავა-იჩიპარა | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 14:00 | 327 | გამბა-იოკოჰამა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **სლოვაკეთი. თასი** | | | | | | |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 330 | ინტერი-პეტრჟალკა | 2.65 | 3.00 | 2.40 | 1.40 | 1.25 | 1.33 |
| 19:00 | 331 | ნიტრა-ჟილინა | 2.60 | 3.00 | 2.45 | 1.39 | 1.26 | 1.34 |
| 19:00 | 332 | ტრენჩინი-ბ.ბისტრიცა | 2.40 | 3.00 | 2.65 | 1.33 | 1.25 | 1.40 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 366 | ალბასეტე-ეხიდო | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | [illegible] |
| 22:00 | 367 | ალმერია-ნუმანსია | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 22:00 | 368 | კასტელონი-ლეიდია | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| 22:00 | 369 | ფეროლი-სპორტინგი | 2.45 | 2.90 | 2.75 | 1.32 | 1.29 | 1.31 |
| 22:00 | 370 | ჰერკულესი-ტარაგონა | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| 22:00 | 371 | ლევანტე-ეიბარი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | [illegible] |
| 22:00 | 372 | ლორკა-სიუდადი | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 22:00 | 373 | მურსია-ტენერიფე | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 22:00 | 374 | უელვა-ელჩე | 2.00 | 2.90 | 3.50 | 1.18 | 1.27 | 1.58 |
| 22:00 | 375 | სერესი-ვალიადოლიდი | 2.35 | 2.80 | 2.95 | 1.27 | 1.30 | 1.45 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 360 | როსტოვი-ლუჩი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 17:30 | 361 | ურალი-სატურნი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 362 | ნიკიობინგი-პერფიოლგე | 2.10 | 3.70 | 2.80 | 1.33 | 1.20 | 1.59 |

**ეჩ. შესარჩევი მატჩები (21)**

**2 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 299 | სომხეთი(21)-პოლანდია(21) | 9.00 | 4.70 | 1.25 | 3.08 | 1.09 | 1.00 |
| 17:00 | 300 | მოლდოვა(21)-ბელარუსი(21) | 2.80 | 3.00 | 2.30 | 1.44 | 1.26 | 1.30 |
| 18:00 | 301 | ბოსნია(21)-ბელგია(21) | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 18:00 | 302 | რუმინეთი(21)-ჩეხეთი(21) | 2.40 | 2.90 | 2.75 | 1.31 | 1.28 | 1.41 |
| 18:30 | 303 | სერბია(21)-ლიტვა(21) | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |
| 18:30 | 304 | პოლონეთი(21)-ავსტრია(21) | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 19:00 | 305 | ესტონეთი(21)-ლატვია(21) | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| 19:00 | 307 | ალბანეთი(21)-ყაზახეთი(21) | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 19:00 | 308 | სლოვენია(21)-ნორვეგია(21) | 2.40 | 2.90 | 2.75 | 1.31 | 1.28 | 1.41 |
| 21:00 | 309 | უნგრეთი(21)-მალტა(21) | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 21:00 | 310 | შვედეთი(21)-ბულგარეთი(21) | 1.45 | 3.60 | 5.80 | 1.03 | 1.15 | 2.22 |
| 21:00 | 311 | ისლანდია(21)-ხორვატია(21) | 3.70 | 3.30 | 1.80 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| 21:00 | 312 | თურქეთი(21)-დანია(21) | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 22:15 | 313 | შვეიცარია(21)-ისრაელი(21) | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 22:30 | 314 | შოტლანდია(21)-იტალია(21) | 5.50 | 3.50 | 1.50 | 2.13 | 1.17 | 1.04 |
| 22:30 | 315 | გერმანია(21)-აზერბაიჯანი(21) | 1.02 | 9.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.61 |
| 23:00 | 316 | უელსი(21)-ინგლისი(21) | 4.50 | 3.60 | 1.55 | 2.00 | 1.15 | 1.08 |
| 22:15 | 317 | პორტუგალია(21)-ლუქსემბურგი(21) | 1.02 | 9.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 6.61 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

# ახალგაზრდული სამაია

## ქართულმა ტრიომ გერმანიასა და თურქეთში იმარჯვა



ოქსანა კალაშნიკოვა

**ზაფხულის** ბოლო თვე ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელებისთვის საოცრად მოსავლიანი გამოდგა. გერმანიასა და თურქეთში ჩატარებულ I და II კატეგორიის ტურნირებში რამდენიმე ჩვენებურმა ითამაშა. გიორგი ჭანტურია, ოქსანა კალაშნიკოვა და მანანა შაფაქიძე კი ჩემპიონები გახდნენ. გუშინ ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა ამ სასიხარულო ამბავზე კომენტარის გასაკეთებლად ფედერაციაში მიგვიწვია.

ასეთი კარგი ზაფხული ქართულ ჩოგბურთს დიდი ხანია, არ ჰქონია, გვითხრა ლეილა მესხმა და ის იყო, უნდა გვეთქვა, სამეულის თამაშებზე დაწვრილებით ესაუბრა, რომ კაბინეტის კარი შაფაქიძემ და ჭანტურიამ შემოაღეს. პრეზიდენტმაც სიტყვა ჩემპიონებს გადაულოცა. კალაშნიკოვას გამარჯვებაზეც ჭანტურიამ ისაუბრა, რადგან გერმანიაში ერთად იმყოფებოდნენ.

მანანა შაფაქიძე: სტამბოლში 16-წლამდელთა ორი საერთაშორისო ტურნირი ვითამაშე და ერთეულებში ორივეგან ჩემპიონი გავხდი. პირველში წყვილთა შორისაც გავიმარჯვე, მერე კი ჩემმა მეწყვილემ ტრავმა მიიღო და მეორე ტურნირის პირველსავე წრეში იძულებით შევწყვიტეთ ბრძოლა.

*გიორგი ჭანტურია:* მე და ოქსანამ გერმანიაში სამ-სამი ტურნირი ვითამაშეთ. ორივეჯერ ერთეულებში ვიმარჯვეთ, ერთხელაც ოქსანამ წყვილებში მოიგო.

— ჭანტურია და კალაშნიკოვა გაერთიანებული ევროპის გუნდში მოხვდნენ და გერმანიაში თამაშის უფლებაც ამით მოიპოვეს — განაგრძო მესხმა — ყველაზე მეტად გიორგიზე ვნერვიულობდით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საუკეთესო რეიტინგი აქვს, საერთაშორისო ასპარეზზე თითქმის ერთი წელიწადი არ ეთამაშა. საბედნიეროდ, მალევე აუღო ალღო და გაგვახარა. ოქსანა და მანანაც თანატოლთა შორის საუკეთესოები არიან საქართველოში. პირველმა ზამთრის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო მეორემ გაზაფხულზე იმარჯვა, გერმანული და თურქული წარმატებებისთვის კი მათ მომავალ ქართულ ტურნირებზე წავახალისებთ. 12 სექტემბრიდან ჩვენს კორტებზე 10 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდის ტურნირი „ბორჯომის თასი" დაიწყება და შაფაქიძე ძირითად ბადეში იქნება. 19-დან უკვე 25-ათასიანი ტურნირი მოეწყობა და შეიძლება, იქ კალაშნიკოვა ავარიდოთ საკვალიფიკაციო ეტაპს, ჭანტურიას კი გაისად მოუწევს თბილისის ტურნირზე თამაში. ამ შეჯიბრის აღდგენა უკვე გადაწყვეტილია.

...მანანასა და ოქსანას სექტემბერში 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე უნდა ეთამაშათ, მაგრამ მწვრთნელთა საბჭომ მათთვის უფრო საჭიროდ თბილისისა და ბათუმის ტურნირებზე თამაში მიიჩნია. მომავალი წლიდან ორივე 18-წლამდელებში გადადის და აქაური რეიტინგის გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი საკუთარ კედლებში უფროსების წინააღმდეგ თამაში იქნება. ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელ თანხას კი მაინც მიიღებენ და სამომავლოდ სხვა საერთაშორისო ტურნირებზე წასასვლელად გამოიყენებენ.

...4-9 ოქტომბერს თბილისში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება, სხვებისგან აშკარად გამორჩეული. ამის იმედს რამდენიმე ფაქტორი გვაძლევს. ტურნირის საპრიზო ფონდი 5 ათასი დოლარი იქნება და მასში თითქმის ყველა უძლიერესი ქართველი ჩოგბურთელი გამოვა. საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები გარდა იმისა, რომ სტიპენდიებითა და გარკვეული შეღავათებით ისარგებლებენ, ნაკრების კანდიდატებიც გახდებიან, მომავალი წლის ქართულ საერთაშორისო ტურნირებზე კი „ვაილთ ქარდების" მიღების უმთავრესი ფავორიტები იქნებიან. აქვე ერთი სიახლეც, ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები ტელეკომპანია „იმედის" მაუწყებლობით პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

ბოლოს ლეილა მესხმა ერთი სასიხარულო ახალი ამბავიც გვაცნობა. ორი დღის წინ ქართულ ჩოგბურთს პირველი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი შეემატა. ედუარდ კამალოვი ჩოგბურთის ფედერაციამ და კომპანია „კოკა-კოლამ" პოლონეთში სპეციალურ კურსებზე მიავლინეს, რომლის ბოლოს გამოცდაც ჩააბარა და შინ თეთრი მედლით მკერდდამშვენებული დაბრუნდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



მანანა შაფაქიძე



# ჭანტურიამ მიუნხენი აიღო

**გიორგი ჭანტურიას** ეგებ ბევრიც არავინ იცნობს, მაგრამ ამ ყმაწვილმა ევროპის ახალგაზრდულ საჩოგბურთო წრეებში უკვე მოიპოვა საკუთარი წილი ავტორიტეტი. ის ITF-ის ეგიდით გამართულ 16-წლამდელთა ტურნირების ხშირი სტუმარია და დღესდღეობით ევროპულ რეიტინგში მე-14 ადგილზეა. გიორგი ახლახანს დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც მაღალი რეიტინგის გამო უფასოდ იყო მიწვეული სამ ტურნირზე. შთაბეჭდილებებსა და მიღწეულ შედეგებზე თავად გვესაუბრება...

— ITF-ს ასეთი წესი აქვს: ვინც ევროპის რეიტინგში მოწინავე 50-ეულშია, წელიწადში სამ ტურნირზე უფასოდ იწვევს. ჰოდა, ამ ორგანიზაციამ აგვისტოში გერმანიის სამ სხვადასხვა ტურნირზე მიმიწვია.

**— უფრო კონკრეტულად გვიამბე, თუ რა ტურნირებში მონაწილეობდი...**

— I-დან 21 აგვისტომდე ერთმანეთის მიყოლებით სამი ტურნირი გაიმართა გერმანიაში. პირველი ულმში, მეორე მიუნხენში და მესამე რენინგენში. ულმის და მიუნხენის ტურნირები პირველი კატეგორიის იყო, ხოლო რენინგენის — მეორესი.

**— საქართველოდან ამ ტურნირებზე მხოლოდ შენ იყავი მიწვეული?**

— ვაჟებში უფასოდ მხოლოდ მე ვიყავი, ისე კი ვისაც სურდა, ის მიიღებდა მონაწილეობას, ოღონდ გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა. მიუნხენში ნიკა ქურდაძეც იმყოფებოდა, რომელიც მერვედფინალში მასპინძელ ჩოგბურთელთან დამარცხდა. სხვათა შორის, ნიკას გამო მერე მე ვიძიე შური იმ გერმანელზე და ნახევარფინალში დავამარცხე, ფინალში კი ასევე გერმანელს, იან ბრუნკერს ვძლიე სამ სეტში.

**— მხოლოდ მიუნხენის ტურნირი მოიგე?**

— დიახ, მხოლოდ მიუნხენში ვიმარჯვე, რენინგენში ნახევარფინალში დავმარცხდი, ულმში კი — მეორე წრეში. პარალელურად წყვილთა შორისაც ვცდიდი ბედს და ორჯერ ფინალამდეც მივედი, მაგრამ... რენინგენში წყვილთა ტურნირი არ მითამაშია, რადგან ჩემი მეწყვილე დაშავდა.

**— ხშირად დადიხარ საერთაშორისო ტურნირებზე?**

— არც ისე ხშირად, დაახლოებით ორ თვეში ერთხელ. ახლა უფასოდ წასვლის შანსი რომ გამოჩნდა, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი. საერთოდ ეს სამი ტურნირი ერთი სერიის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელსაც გერმანია მასპინძლობდა. მთლიანობაში 5 ტურნირი გაიმართა, მაგრამ ITF-ი მხოლოდ სამს აფინანსებდა და დანარჩენებში მონაწილეობა აღარ მივიღე. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ამ ხუთი ტურნირის შედეგებით პირველ ადგილზე გასული სპორტსმენი ITF-ის ჩელენჯერია პრესტიჟული ტურნირის „ვაილდ ქარდს" აიღებდა. მე, როგორც ვთქვი, მხოლოდ სამ ტურნირში ვითამაშე და საბოლოოდ მეორე ადგილზე გავედი. პირველობა კი მოლდოველს [illegible], რომელმაც გერმანული მასტერსის ხუთივე ტურნირი ითამაშა და ქულათა დიდი სხვაობით გამისწრო.

**— ვისთან ვარჯიშობ?**

— „დინამოს" კორტებზე ანა მეტრეველი, ალექსანდრე მეტრეველის შვილი მავარჯიშებს. მადლობა მინდა მწვრთნელს და ასევე ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ლევან ზერეკიძეს, ვისი მეოხებითაც აღმოსავლეთ ევროპის ნაკრებში მოვხვდი და გერმანულ ტურნირებში მონაწილეობის უფლებაც მივიღე.

**ირაკლი პერტაია**

US OPEN 2004

# კრემლი შიგნიდან გატყდა

## კუზნეცოვა ანტირეკორდსმენია




მარია შარაპოვა

### პირველი წრე

**კაცები**

**რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:3 6:3 6:4; **ანდრე აგასი** (7, აშშ) — რაზვან საბაუ (რუმინეთი) 6:3 6:3 6:1; **გილერმო კორია** (8, არგენტინა) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 7:6 (7:5) 6:1 6:3; **ბრაიან ბეიკერი** (აშშ) — გასტონ გაუდიო (9, არგენტინა) 7:6 (11:9) 6:2 6:4; **მარიანო პუერტა** (10, არგენტინა) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 7:6 (6:4) 6:7 (3:7) 6:4 6:0; **რიშარ გასკე** (13, საფრანგეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:2 6:3 1:6 6:7 (4:7) 6:4; **თომას იოჰანსონი** (14, შვედეთი) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:3 6:4 6:3

**ქალები**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:1 6:1; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1 6:2; **ეკატერინა ბიჩკოვა** (რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) 6:3 6:2; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — იუნძან ჩენი (ტაივანი) 6:1 6:3; **ნადია პეტროვა** (9, რუსეთი) — ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) 6:4 6:4; **ვინუს უილიამსი** (10, აშშ) — რიკა ფუხივარა (იაპონია) 6:3 6:1; **შენეი პერი** (აშშ) — ალიშა მოლიკი (14, ავსტრალია) 6:4 6:4; **ანა ივანოვიჩი** (სდჩ) — ლინდსი ლი-უოტერსი (აშშ) 7:6 (7:5) 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (20, სლოვაკეთი) — კამილ პენი (საფრანგეთი) 6:3 6:1

**შარშან** ამბუვენებული ნიალვარივით მოვარდნილმა რუსმა გოგუცანებმა წლეულს ბარაქიანად რომ ჩაიიმასქნეს, ამის შესახებ არა ერთხელ გვისაუბრია. ცხადია, იმავის გამეორებას არც ახლა დავიზარებთ — ეგ მით უფრო, რომ ამის სათქმელად მორიგი ბობოლა საბაბი მოგვეცა.

ზუსტად ერთი წლის წინ სვეტლანა კუზნეცოვა მართლაც რიგიან ფორმაში იყო, თუმცა აშშ-ის ღია პირველობაზე რომ იმარჯვა, უწინარესად მაინც უილიამსლებისა და სუპერბელგიელთა ტრავმიანობის შედეგი გახლდათ.

წლეულს ერთინიც და მეორენიც — ანუ ვინუს-სერენაცა და ჟუსტინ-კიმიც საქმეში არიან და ამის გამოცაა, რუსულმა დივიზიამ შარშან დიდი მუზარადის ტურნირებზე მოგებული სამი ტიტულიდან ერთიც რომ ვერ შეინარჩუნა და სხვა ზორბა ტურნირებზეც ვერაფრით რომ გამოირჩა.

თავად კუზნეცოვამ ფლეშინგმედოუზური ტრიუმფის შემდეგ მხოლოდ ერთ, ისე-რა ბალიურ ტურნირზე იმარჯვა (ისიც — ტრიუმფიდან ერთი კვირის თავზე). შარშანდელი როლანგაროსობის ჩემპიონმა ანასტასია მისკინამ სეზონი ღონივრად კი ჩაამთავრა და რუსეთს ფედთასიც მოაგებინა, მაგრამ ნაარდადაგევს ვერ იქნა და სათანადო დონეზე ველარ ათამაშდა — როლანგაროსული ტიტულის დაცვას ვინლა ჩივის, წლეულს წამლად ერთი ქეციანი ტიტულიც ვერ მიითვალა.

ამათ ფონზე თითქოს შედარებით ყინჩობს შარშანდელი უიმბლდონობის დედოფალი მარია შარაპოვა, ვინაც ამ სეზონში სამი — ტოკიოური, დოჰაური და ბირმინგემული — ტიტულიც იშოვა და ერთი კვირა, 22-დან 29 აგვისტომდე ქალთა რეიტინგსიის სათავეშიც დაჰყო. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ უილიამსდათა და ბელგოგოთა წინააღმდეგ წლეულს მანაც ველარაფერი გააწყო, ერთ სუპერტურნირზეც ვერ გაიღალა და მცირე ხნით რეიტინგსიის კენწეროს რომ შესწვდა, ეგ უფრო მანამდელი (და ამჟამინდელი) პირველოსნის, ლინდსი დევენპორტის თვენახევრიანი ტრავმიანობის გამო მოხდა.

ასე რომ, რუსეთული ჩოგბურთის მახვში, შამილ ტარპიშჩევი რომ იქადნებოდა, ახლა ველარაფერი გაგვაჩერებსო, არც მთლად ეგრე ყოფილა საქმე!

თუმცა რუსგოგოთა ლიანგური ჩაფლავება მხოლოდ უფრო ძლიერ კონკურენტთა გამოჯანსაღებითა და აზრზე მოსვლით არ უნდა აიხსნებოდეს.

საქმე ისიცაა, რომ 20 წლის კუზნეცოვამაც და 24 წლის მისკინამაც — შედარებით ნაკლებად 18 წლის შარაპოვამ — შარშან მართლაც მომქანცველი, ემოციატევადი სეზონი ჩაითამაშეს. ფიზიკურ და მენტალურ გამოფიტულობას დიდ გამარჯვებებს თანმოყოლილი პასუხისმგებლობაცა და წნეხიც დაერთო და, როგორც ჩანს, უილიამსდებსა და ჟუსტინ-კიმზე არანაკლებ რუსქალთა ყოჩები ყოველივე ამანაც შებორკა.

რეიტინგსიის 97-ე ადგილზე მდგომ უსახელო თვისტომთან საპირველწრეო მარცხის შემდეგ კუზნეცოვა სწორედ ამით იმართლებდა თავს — შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ თავს ხშირად განადგურებულად ვგრძნობდი და თან ისიც აუტანელ ტვირთად მაწვა, რომ ჩემგან ყველა უკვე მხოლოდ საჩემპიონო თამაშს მოელოდაო.

„დიახ, შარშან მართლაც ძალიან ბევრი მომივიდა — ამბობდა ის — აშშ-ის ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ კი საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ასეთ დროს, გინდა-არ გინდა, სხვათა ნალაპარაკევს საჭიროზე მეტ ყურადღებას აქცევ. თან პასუხისმგებლობის განცდაც იზრდება და კორტზე თავს გაცილებით უფრო დაწნეხილად გრძნობ. იცით, ზოგჯერ ისეთი ფიქრიც მომსვლია, რომ შარშანდელივით თამაშს ალბათ ველარასოდეს მოვახერხებ-მეთქი... მოკლედ, დღეს ჩემი დღე არ იყო. რა ვქნა, თავს ხომ არ მოვიკლავ. ვეცდები, ამ ამბიდან რამე პოზიტიურით გამოვძვრე და აუცილებელი დასკვნებიც გამოვიტანო."

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ კუზნეცოვას არასახარბიელო მენტალურ მდგომარეობას ამ ორი კვირის წინ ტორონტოში წელის ტრავმაც წაება, თუმცა გუშინ ის ჰალალად აღიარებდა, რომ ბიჩკოვას წინააღმდეგ ტრავმას მისთვის ჩოგანი არ შეუშლია. ამ შეხვედრაში ის ისედაც ძალზედ არამობილიზებულად გამოიყურებოდა და 15 საქულე დარტყმის წილ 45 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

შედეგად კი აშშ-ის ღია პირველობათა 125-წლოვან ისტორიაში პირველად მოხდა ისეთი რამ, რომ წინა წლის ჩემპიონ ბანოვანს ტიტულის დასაცავად ბრძოლა პირველსავე წრეში შეაწყვეტინეს. ანუ, სხვაგვარად, კუზნეცოვა აშშ-ის ღია პირველობის აბსოლუტური ანტირეკორდსვუმენი შეიქნა.

ახლა სხვებზეც.

რაკილა საპირველდღეო მიმოხილვა — აღნიშნული ისტორიული ფაქტის გამო — ქალებით დავიწყეთ, ხამს, მათითვე გავაგრძელოთ კიდეც. მით უფრო, რომ კუზნეცოვას პარალელურად იმ დღეს სვიან მდედრთა მთელი გუნდი გაირჯა.

ამათგან პრობლემა არავის შექმნია, ხოლო პირველ ნომრად განთესილმა შარაპოვამ ბერძენ ელენი დანილიდუს, ვინაც ურიგო მოთამაშე სულაც არ გახლავთ, საერთოდაც გაუოფლიანებლად გადაურბინა.

ამ შეხვედრაში ერთი კვირით ნაპირველოსნარი რუსგოგო ორგემაგედ ჰამო სანახავი იყო — ჩოგანიც ჩინებულად აქნია და ახალი, მის ჯერაც დაუმწიფებელ ნაკვთთა სახარბიელოდ გამომჩენი სამოსიც შეყვავილებული ალუბალივით მოირგო.

წყვილად გაივაკეს ტურნირის ორორგზის ჩემპიონებმა, კორტის ლალი ჩოგნაობითა და სხეულებრივი ხვავით დაუნანებლად აღმვსებმა სერენა და ვინუს უილიამსებმაც, რომელთაც — მტრების თვალთა დასაყენებლად — თავიანთ ჭყეტელა კაბებს ძვირფასი რამ სამკაულებიც შეუხამეს. ვინუსმა ყელსაბამით დაგვატყვევა, სერენამ კი — ვეება საყურეებით, რომელთაგან ერთი რომ მატჩის მსვლელობისას ჩამოძვრა, მეორე მერე თავადვე მოიხსნა.

საკუთრივ ბურთაობის თვალსაზრისით კი დებმა ორ-ორი ერთნარი სეტი ითამაშეს — უსახელო იაპონელ რიკა ფუხივარასთან ვინუსს პირველ სეტში გაუჭირდა, კიდევ უფრო უსახელო ტაივანელი ჩენი კი სერენას მეორეში აუტყდა. თუმცა მეტოქეთა ჯანყის ჩახშობა დაიკოებს საბოლოო ჯამში არ გასჭირვებიათ და — ეგ იყო და ეგ.

ორიოდ სიტყვით გამორჩევას მოითხოვს კიმ კლაისტერსი, ოღონდ არა იმიტომ, რომ გერმანელ მიულერს გაუჯანჯლებლივ გასცდა. არამედ იმიტომ, რომ საღამოს მატჩებამდე მას და ენდი როდიკს საამ-აშშ-ის-ღია-პირველობო სამზადისში ყველაზე უკეთ გარჯისათვის ოფიციალური ხოტბა ალუვლინეს. ამქრის ყოფილ პირველოსანს მოტივაცია ისედაც არ აკლდა, ხოლო ნაამხოტბევს მან კიდევ უფრო დამაჯერებლად მიითვალა თავისი 50-ე საამსეზონო გამარჯვება [illegible] და მთავარი სწორედ ესაა — [illegible] რში წლეულს სხვას [illegible] მოეხერხებია.

რაც შეეხება ხვალებს, [illegible] თავრის ყურადღებას თავის [illegible] ფლეშინგმედოუზისა'ზე [illegible] ანდრე აგასისა და ამჟამინ 9 წლის [illegible] ფასკუნჯ რაფა ნადალის [illegible] იწვევდა.

35 წლის არმქონიანმ[illegible] საც ტურნირზე 1994 და 1999 წლებში უჩემპიონია, [illegible] მინელ რაზვან საბაუს [illegible] 30 უნებლიე შეცდომის [illegible] აგასიმ 34 საქულე [illegible] ქუჩა, რომელთაგან 11 [illegible] მდევნო წრეში ანდრეს [illegible] ნტო სისალესა და ფიზიკურ [illegible] ბას ამქრის უვირგლესი [illegible] რტის დონიდან ორი მეტრისა [illegible] სანტიმეტრის ამოვლება [illegible] ლოვინი გამოსცდის [illegible] ვის მხრივ დაბამული [illegible] გლაჯუნში [illegible] ფიშს.

მსუბუქი კეწნარბით [illegible] ნადალიც — უსახელო [illegible] ნოლდსი მას, მართალია, [illegible] ბებია, მაგრამ ვერც [illegible] რგა, რომ თუნდაც ერთ [illegible] სდავებოდა. ეს ნადალის [illegible] მარჯვება გახლდათ და [illegible] საც გეტყვით, რომ ამჟამ[illegible] დღეს ამქრის ზეგარდმო [illegible] სანი როჯერ ფედერერიც [illegible] იკვეხს.

კაცთა მხარეზე [illegible] მოულოდნელობა კი 20 წლის [illegible] მაღალ, მაგრამ ერთობ გამოუცდე[illegible] ამერიკელ ბრაიან ბეიკერის [illegible] მეცხრე ნომრად განთესილ [illegible] გაუდიოს ოტება გამოდგა [illegible] როგორც მეტრისა და 90 სანტიმეტრის ღონიერ [illegible] მოწინდებობაც ხომისხი [illegible] და უკანასკნელ [illegible] რად აბათქუნებდა, რომ [illegible] თიხნარე გაუდიოს [illegible] რების ყოველგვარი შანსი [illegible] ნამატჩევს გაუდიოც [illegible] ჩიოდა — იმედი [illegible] ზიდან მაინც გავუძლებდი, [illegible] გრამ მან მოწინდებობაც [illegible] ნა და არც ხანგრძლივი [illegible] ბისას ჩაიკახაო.



სერენა უილიამსი



# ჰერბერტის აშენებული ფინეთში გამოჩნდება

## გიორგი ცინცაძე: მოვიგებთ!

ნაკრებმა სპარინგ-მატჩები მოილია და მერე რა, რომ ყველა შეხვედრა წააგო, მთავარი ჯახი ხომ ჯერაც წინაა. ქართველთა ყოფნა-არყოფნის მატჩი 3 სექტემბერსაა დანიშნული ფინეთთან და რომ ვიმარჯვოთ, მოსამზადებელ ეტაპზე განცდილი რვავე მარცხი ერთ წამში დაგვავიწყდება. აქამდე გორდონ ჰერბეტს გუნდის შეკვრა-შეთამაშება და ტაქტიკურად მომართვა ევალებოდაა, მომდევნო მატჩში კი მისგან მხოლოდ გამარჯვებას ველით. გუშინ ჰერბერტმა ნაკრების წევრებს პრესასთან გასაუბრების საშუალება მისცა და ჩვენც რესპონდენტად პერსპექტიული უკანახაზელი გიორგი ცინცაძე შევარჩიეთ, რომელმაც გერმანულ სუპერთასზე უხვქულიანობით გამოიჩინა თავი...

—სანამ ზოგადად ნაკრებზე გადავალთ, საკუთარ თავზე, შენს მზადყოფნაზე გვესაუბრე...

— დღესდღეობით საკუთარი მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. ეს ბოლო მატჩებშიც გამოჩნდა — გერმანიასთან, საბერძნეთთან და ბელარუსთან დამაკმაყოფილებლად ვითამაშე. შემიძლია, ვთქვა, რომ არა მარტო მე, მთელი ნაკრების წევრები ჩინებულ ფიზიკურ მზადყოფნაში ვართ.

**— თუ კარგად ხართ მომზადებულნი, გერმანიასთან უიმედოდ რატომ წააგეთ, ანაც ბელარუსთან რა დაგემართათ?**

— სანამ ამ მატჩებზე გეტყოდე, მანამდელ შახვედრას გავიხსენებ, რომელიც საბერძნეთთან მხოლოდ 11 ქულით წავაგეთ. საბერძნეთი უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდა, ჩვენ კი თითქმის არავინ გვყავდა, ერთი ვლადიმერ ბოისა იყო ევროპის დონის ვარსკვლავი. ასეთმა დასუსტებულებმა ბერძნებთან თითქმის ტოლ-სწორად ვითამაშეთ...

**— ჰოდა, ისაა გასაკვირი, რომ მომდევნო მატჩებში ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია დაგემატათ და მაინც სუსტად ითამაშეთ...**

— ამას ლოგიკური მიზეზი აქვს. ის შემადგენლობა, რომლითაც ბერძნებთან ვითამაშეთ, ერთი თვეა, ვვარჯიშობთ და საკმარისადაც შევთამაშდით. ზაზა ფაჩულიასა და ნიკა ცქიტიშვილს კი სათამაშო პრაქტიკა აკლდათ და თანაც გუნდთან არ იყვნენ საკმარისად შეთამაშებულნი. ზაზას საერთოდ ოთხი თვეა, არ ეთამაშა და გუნდთან სათანადოდ შეწყობილიც რომ არ იყო, იმიტომ წავაგეთ ბელარუსთან. არადა, თავიდან დიდი სხვაობით ვიგებდით, მაგრამ მერე გაგვიჭირდა.

**— ბარემ გერმანიაზე, უფრო სწორად დირკ ნოვიცკიზეც თქვი რამე...**

— რომ იტყვიან, ყბა ჩამომივარდაო, ისე იყო ჩემი საქმე. ნოვიცკი ძალიან მაგარი ვინმე ყოფილა. მას ყველაფერი შეუძლია, რაც კი კალათბურთელს მოეთხოვება. შეუძლია, მარტომ მოიგოს თამაში, მიუხედავად იმისა, ვინ ჰყავს თანაგუნდელებად.

**— თუ ეგეთი მაგარია, 15 ქულაზე მეტი რატომ ვერ ჩაგიგდოთ?**

— ჩვენ ვართ მაგრები და იმიტომ. ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

**— ამ მატჩებში საკმაოდ ბევრი ითამაშე, მაგრამ ნაკრებს შემონდ უილიამსი რომ შეუერთდება, ალბათ შეიზღუდები...**

— არა, შემონდის ჩამოსვლა ჩემზე არ იმოქმედებს, რადგან მე ორ ნომერზე, მტყორცნელის პოზიციაზე ამწია გორდონ ჰერბერტმა, უილიამსი კი გამთამაშებელია. უკვე გადაწყვეტილია, რომ მე და ანატოლი ბოისა მტყორცნელები ვიქნებით, გამთამაშებლად კი უილიამსი და ლაშა გამყრელიძე ითამაშებენ.

**— ამპლუის შეცვლას როგორ შეეგუე, შენ ხომ გამთამაშებელი ხარ?**

— გამთამაშებლად მათამაშებენ, თორემ მე უფრო მტბორცნელის პოზიციაზე მიყვარს ყოფნა. ვთვლი, რომ ორ ნომერზე თამაშით უფრო სარგებლობას მოვუტან გუნდს. ეს იმიტომ, რომ უფრო თავისუფალი ვარ და პასების განაწილება უშუალოდ მე არ მევალება.

**— შენი აზრით, ბევრით მოუმატა ნაკრებმა?**

— რა შედარებაა. არ დაგიმალავ და გეტყვი, რომ თავიდან ვხუმრობდით, ქუჩაში შეკრებილი გუნდი ვართ ჩვენს მეტოქეებთან შედარებითო. ერთი ვლადიმერ ბოისა გვყავდა, დანარჩენები კი ევროპისთვის სრულიად უცნობი მოთამაშეები ვიყავით — ახალგაზრდები და თან გამოუცდელები. ფიზიკურადაც ძალიან გვიჭირდა და ვერ ვაკმაყოფილებდით იმ მოთხოვნებს, რაც გორდონის ვარჯიშების შესასრულებლად იკმარებდა. მწვრთნელს თავისი გეგმა ჰქონდა, რომელსაც ფიზიკურად ძლიერი კალათბურთელი თუ შეასრულებდა მხოლოდ. ნელ-ნელა, ვარჯიშ-ვარჯიშ ფორმაში ჩავდექით და ხომ გითხარით, ახლა არავითარი პრობლემა აღარ გვაწუხებს.

**— თავად გორდონი თუა კმაყოფილი?**

— კმაყოფილია, რადგან თითქმის ყველა დავალებას ვუსრულებთ.

**— რას იტყვი, დიდად განსხვავდება ის მისი წინამორბედისგან, დრაჟენ ბრაიკოვიჩისგან?**

— ჩემი აზრით, ჰერბერტი ბრაიკოვიჩზე გაცილებით ძლიერი სპეციალისტია. ყველა სამწვრთნელო ნიუანსებში ერთი თავით მაღლა დგას ბრაიკოვიჩზე. მისი ყველა კომბინაცია თუ მითითება იოლად გასაგებია მოთამაშეთათვის.

**— ჰერბერტი ალბათ იმით იქნება უკმაყოფილო, რომ ნაკრებს დღემდე არ შეერთებია შემონდ უილიამსი...**

— ამის თაობაზე ჰერბერტი რას ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ ამას რა თქმა უნდა. სხვათა შორის, უილიამსს ნაკრებში დღეს ელიან. თქვეს, გერმანიაშივე ჩამოვაო. ვნახოთ, თუ ასე მოხდა, ძალიან კარგია, შეთამაშებას მოასწრებს.

**— ბოლოს, ფინეთთან მატჩზე რას ფიქრობ, ის გვითხარი...**

— მოვიგებთ!

**ირაკლი პერტაია**



# 13-წლიანი რეკორდის დასასრული

**იტალიის** ქალაქ რიეტიში გამართულ მძლეოსნობის „გრან პრის“ ტურნირზე უკრაინელი მრავალგზის მსოფლიოს რეკორდსმენი სერგეი ბუბკა 1992 წელს ჭოკით ხტომაში 5 მეტრსა და 90 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო, რაც იტალიის ამ ქალაქში გამართული შეჯიბრებათა ისტორიაში საუკეთესო შედეგი იყო. მას მერე 13 წელიწადი მიიწურა, მაგრამ ბუბკას რეკორდი აქამდე ხელშეუხებლად რჩებოდა. და აი, გუშინწინ საღამოს ამერიკელმა ბრედ უოლკერმა სერგეი ბუბკას რეკორდი დაამხო, როცა 5 მეტრსა 96 სანტიმეტრზე აფრინდა, რითაც 6 სანტიმეტრით გააუმჯობესა უკრაინელის მიღწევა.



# რიჩ მაქკოუ — შავების თეთრი ვარსკვლავი



**ახალი ზელანდიის** სამხრეთულ კუნძულზე, ჩრდილო ოტაგოს პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრ ოამარუში 1980 წლის 31 დეკემბერს ხალხი ახალი წლის დადგომას რომ ელოდა, მაქკოუების ოჯახს ორმაგად საზეიმო განწყობა ჰქონდა. იმ დღეს ბიჭი დაიბადა, რომელსაც რიჩარდ ჰიუ დაარქვეს.

რიჩისგან რომ მორაგბე დადგებოდა, სულ რაღაც 17 წლის შემდეგ გაირკვა, როდესაც „ოტაგო ბოიზის“ უპირველეს გუნდში უხმეს. მას შემდეგ ხანი გამოხდა და სწრაფად დაკაცებული მაქკოუ ჯერ ახალი ზელანდიის 19-წლამდელთა, შემდეგ კი 21-წლამდელთა ნაკრებშიც მოხვდა.

21-წლამდელებში მომავალი ვარსკვლავი დიდხანს აღარ გაჩერებულა, რადგანაც მას შემდეგ, რაც სკოლა დაამთავრა და ქრაისთჩარჩში, ლინკოლნის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, იგი კენტერბერის პროვინციის გუნდში და ზეთორმეტულ კლუბ „ქრუზეიდერსში“ აიყვანეს, სადაც ისე იჩაუქა, რომ 2001 წლის 17 ნოემბერს ნაკრებში სადებიუტო მატჩი ჩაატარა. ეს ამბავი დუბლინში, ირლანდიის ნაკრებთან რკენისას მოხდა და მას შემდეგ რიჩი ნაკრების წევრია.

2004 წელს მაქკოუმ კენტერბერის პროვინციას უკაპიტნა, თუმცა შემდეგ თავის ტრავმა მიიღო და სეზონი კინაღამ წაუხდა. მიუხედავად ამისა, რიჩიმ ჯანმრთელობა მოახერხა და ახალი ზელანდიის პროვინციათა თასი მოიგო. ამავე წელს, უელსის წინააღმდეგ თამაშისას, 23 წლის ბიჭს ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტნობა ანდეს, თუმცა ეს ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც რიჩი „შავებს“ ლიდერად მოევლინა. ის თამაში კი ახალმა ზელანდიამ, დიდი ბრძოლის ფასად 26:25 მოიგო.

კაპიტნობა მაქკოუს ზეთორმეტის 2005 წლის ტურნირზეც ერგო, თუმცა ძველმა ტრავმამ აქაც ხელი შეუშალა და სეზონის ნახევარი გაუცდა.

რიჩი მაქკოუ 2003 წელს ახალი ზელანდიის წლის საუკეთესო მორაგბედ აღიარეს, დღეისათვის კი იგი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფლანკერად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ 25 წლისაც კი არ არის.

**ლადო ფულუკიძე**

# გადადგომა ფულის სანაცვლოდ

## ფიფა აკადემია





**ქართულ** ჭადრაკში კვლავ ქაოსი და არეულობაა. ამჟამად ფედერაციის პრეზიდენტი გურამ აბსანძე და ქალთა ნაკრების კაპიტანი ნინო გურიელი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ქალთა და ვაჟთა ნაკრებებს სტოკჰოლმში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გასამგზავრებელი თანხა ვერ გამოუნახა, რის გამოც უცხოეთში მყოფმა გურამ აბსანძემ გადადგომაზე გააკეთა განცხადება. საბოლოოდ საჭირო თანხა ოლიმპიურმა ფონდმა გაიღო და ჩვენმა მანდილოსნებმა შვედეთიდან ვერცხლის მედლები ჩამოიტანეს. თბილისში დაბრუნებულმა ქალთა ნაკრებმა პრესკონფერენცია ჩაატარა, სადაც ნინო გურიელმა ნაკრების სახელით ფედერაციის პრეზიდენტს უნდობლობა გამოუცხადა და გადადგომა ურჩია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ გურამ აბსანძემ ჭადრაკის სასახლეში პრესკონფერენცია გამართა და დარბაზში მხოლოდ ჟურნალისტები დაგვიშვა.

— ძალიან უჩვეულოა ჩემთვის ეს პრესკონფერენცია, მაგრამ სხვა გზა აღარ მაქვს. ჭადრაკის გულშემატკივართა დიდი ნაწილი პასუხს ელოდება. საქმე ეხება ჩემზე გავრცელებულ ბინძურ დეზინფორმაციას. დღეს ყველაფერს ფარდა აეხდება.

დეკემბერში, როცა ფედერაციის პრეზიდენტი გავხდი, ოპონენტებს თანამშრომლობისკენ მოვუწოდე და შევთავაზე, რომ გამგეობაში შემოსულიყვნენ. მინდოდა, ერთად გვეკეთებინა ეროვნული საქმე. მართლაც აღსანიშნავი იყო ის დღე. ის საღამოსვე შერიგდნენ ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია და ზურაბ აზმაიფარაშვილი. თითქოს ყველაფერი დალაგდა, მაგრამ თურმე ეშმაკს არ ეძინა, ვიღაც-ვიღაცეებმა ვერ აიტანეს ჩვენი ასეთი ყოფა და წყალი აგვიმღვრიეს.

ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი თანხა რომ ვერ გამოიძებნა, ამაში მე არ ვარ დამნაშავე, აქ მიდევს დოკუმენტი, რომელიც 8 ივნისით არის დათარიღებული და ამ ტურნირისთვის მოჭადრაკეთა დაფინანსებას ვითხოვ. ჩემპიონატამდე, ორი თვით ადრე ეს დოკუმენტი ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გადავეცი. მას სპორტისა და კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურიც გაეცვნენ, მაგრამ როგორც იცით, პასუხი არ მოსულა.

უცხოეთში ვიმყოფებოდი სამკურნალოდ, როცა გავიგე, რომ მოჭადრაკეებისთვის საჭირო თანხა ვერ გამოინახა. მაშინვე ჩამოვედი და პრემიერს შევხვდი. იგი დახმარებას დაგვპირდა, მაგრამ დაპირება დაპირებადვე დარჩა. შემდეგ გადავწყვიტე რომ ეს თანხა, 60 ათასი ლარი, გვესესხა და გირაოდ ბინასაც ჩავდიოდი, მაგრამ არც ეს საქმე გამოვიდა. ბოლო დღეს ხუთ საათამდე არაფერი მომხდარა. ამ დროს კი მირეკავს ერთი პიროვნება და მეუბნება, რომ თუ გადავდგები, მოჭადრაკეები თანხას მიიღებენ. ეს კაცი სპორტისა და კულტურის სამინისტროში მოღვაწეობს, მაგრამ, სამწუხაროდ, მის ვინაობას ვერ გეტყვით. მეც რაღა მექნა. გადადგომაზე გავაკეთე განცხადება და ფულიც გამოიყო. მიკვირს, თუ არსებობდა ეს თანხა, რატომ თავის დროზე არ მოგვცეს. მივხვდი, რომ ვიღაც ჩემზე შეთქმულებას ამზადებდა.

ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვისა და მისი გუნდის ვიზიტი საქართველოში უნიკალური მოვლენა იყო ჩვენი სპორტის ისტორიაში. მას დიდი პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. მათი ვიზიტი მიხეილ სააკაშვილთან იყო შეთანხმებული, ამიტომ სტუმართა მიღებაზე მარტო ჩვენი ფედერაციის თანხა არ დახარჯულა, როგორც ამას ახლა სპორტის დეპარტამენტი ამტკიცებს, რომ თითქოს მთელი ბიუჯეტი კირსან ილუმჟინოვის ვიზიტს დავახარჯეთ და მოჭადრაკეთა თანხაც მივაფლანგეთ.

აგერ მაქვს დოკუმენტი, სადაც ფედერაციაში ჩემი მოსვლის დღიდან ყველა შემოსავალია აღნიშნული. ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს და ყველაფერი ბუღალტერთან არის დაფიქსირებული. ახლა კი ის ქალი მიპირისპირდება, რომლის დროსაც საერთოდ არ იყო ბუღალტერია. ფედერაციის პრეზიდენტი რომ გავხდი, ვთქვი, ერთ წელიწადში 200 ათას დოლარს მოვიზიდავდი, მაგრამ გაცილებით მეტი შევძელი და მარტო 18 ათასი ლარი ჩემი ჯიბიდან გავიღე. ეს ყველაფერი ბუღალტერთან არის დაფიქსირებული და შეამოწმეთ.

ახლა კი ჩემს ოპონენტზე გეტყვით. 2002 წელს ნინო გურიელის შემოსავალი 53 ათასი ლარი იყო. ამ დროს შავი ბუღალტერია არსებობდა და მრავალი დარღვევაც იყო. წვრილმანებზე აღარ გავამახვილებ ყურადღებას და გურიელის საქმიანობაში აღმოჩენილ დიდ დარღვევებზე გესაუბრებით. ფედერაციაში ფუნქციონირებდა საქვაბე, გათბობის სისტემა, რომელიც ახლა მთლიანად განადგურებულია. აგერ მაქვს დოკუმენტი, სადაც დაფიქსირებულია გურიელის საქმიანობაში აღმოჩენილი ყველა დარღვევა. ეს შემოწმება საგანგებო კომისიამ ჩაატარა და მისი წევრები ზურაბ აზმაიფარაშვილი, თამარ [illegible] გურგენიძე [illegible] იყვნენ.

ნინო გურიელმა არამიზნობრივად დახარჯა ბიუჯეტიდან თანხა და ახლა მეუბნება, გადადექიო. მე მებრძოდა მსოფლიოს ნომერი პირველი სატანა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც გურიელის ნათლია მამა გახლდათ. შევარდნაძის [illegible]ტიაში იგი მეექვსე ნომერი იყო და ეგონა, რომ ეს უკანონო საქმეები მისი დახმარებით შერჩებოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ვთხოვ პროკურატურას და კონტროლის პალატას, შეამოწმონ ჩემი და გურიელის შემოსავლები, ამის შემდეგ ნახავთ, ვინ უნდა იჯდეს ციხეში. მე არ მეშინია ციხის, იქ პატივს მცემენ და რამდენიმე წელიწადი სახლივით იყო ჩემთვის. გეთანხმებით, ულამაზოა, რომ მამაკაცი ქალს უპირისპირდება, მაგრამ უფრო საწყენია, მაია ჩიბურდანიძეც რომ მაკრიტიკებს. ალბათ იგი გურიელის მეგობარია და ამიტომაც იცავს, მაგრამ აქ ხომ ქვეყნის ინტერესები ილახება.

გურამ აბსანძემ ამით დაამთავრა საუბარი და ერთ საათში გამგეობის სხდომაც დაიწყო.

სხდომაზე თავიდან ფედერაციაში შექმნილ ვითარებაზე იმსჯელეს, გამგეობამ ხმათა უმრავლესობით არ გაიზიარა ოპონენტების აზრი, რომ გურამ აბსანძე უნდა გადადგეს და პრეზიდენტს მხარი დაუჭირა.

ყრილობის ერთ-ერთი მთავარი თემა კი ხუთი დღის წინ ლონდონში გამართული ფიდეს კონგრესი იყო. იქ გადაწყდა, რომ საქართველოში საერთაშორისო საჭადრაკო აკადემია გაიხსნება, სადაც მწვრთნელები გაივლიან სწავლების კურსს და ფიდეს ლიცენზიას მიიღებენ. ამავე აკადემიაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვლენ მოჭადრაკეები და დაოსტატდებიან.

დასასრულს, გამგეობამ დადებითად შეაფასა ქართველთა გამოსვლა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, ახალგაზრდულ მსოფლიოს პირველობებზე და ხანდაზმულთა წარმატება უსურვეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ჩვენი დროის ბარონი მიუნჰაუზენი



**ადამიანები** ორი ქვეყნის საზღვარს კვეთენ: ფეხით, ცხენით, ავტომობილით, ველოსიპედით, თვითმფრინავით, საჰაერო ბურთით, გემით, ნიჩბიანი ნავით, უბრალოდ ცურვით და სხვა ტრადიციული საშუალებებით...

არსებობს საზღვრის გადაკვეთის არატრადიციული ლეგალური თუ არალეგალური საშუალებებიც. მაგალითად, ვიღაცა ამას გვირაბის გათხრით ცდილობს, მეორე ავტომობილ-მაცივარში იმალება, მესამე კი კატაფალკაში მოთავსებულ კუბოში იჯგიმება ან სხვა რამ ეშმაკობას იგონებს, მაგრამ ის, რაც დეივიდ სმიტს მოუვიდა აზრად, აქამდე, ალბათ, ფანტასტი მწერლების გარდა თავში არავის მოსვლია. ყოველ შემთხვევაში, არ უცდია — ამ შერეკილმა ამერიკელმა მექსიკიდან თავის ქვეყანაში საზღვარს ზარბაზნის ჭურვივით გადაუშხუილა თუ გადმოუშხუილა...

შეიძლება ითქვას, რომ ჭურვობა და ყუმბარობა დეივიდ სმიტის თავისებური პროფესიაა. მან თავისი ყუმბარისებური ფრენა მექსიკის ქალაქ ტიხუანის პლაჟიდან ამერიკის სან დიეგომდე სრულიად ლეგალურად განახორციელა, თანაც ამ სულიერ ჭურვს ხელში პასპორტი ჰქონდა ჩაბღუჯული.

ამ საჰაერო „მოგზაურობისას“ დეივიდ სმიტს მთლად ბარონ მიუნჰაუზენივით არ უმოგზაურია. ამერიკელი იმ შეთხზული ბარონივით ყუმბარას კი არ შემოჯდომია, არამედ თავად იყო ცოცხალი ჭურვი. სმიტი მექსიკიდან ამერიკისკენ ზარბაზნით ისროლეს და იმანაც ამ ორ ქვეყანას შორის გავლებულ ჟანგიან რკინის ღობეს კაი გვარიან სიმაღლეზე გადაუწუილა და მეორე მხარეს საგანგებოდ გადაჭიმულ ვეება ბადეზე დაეშვა.

არანაკლებ საინტერესოა, რომ დეივიდ სმიტს მიმდევრებიც საკმაოდ ჰყავს. მან ადამიანი ჭურვების მთელი ოჯახი შექმნა, რომელთა შორის სმიტის შვილებიცაა. მამის გასროლის შემდეგ ინტერვიუს უფროსი შვილიც იძლეოდა, რომელიც გვარზე ხტუნაობით პურის ფულს შოულობს. ამავე გზით შოულობს ფულს უფროსი სმიტის კიდევ ორი ქალიშვილი და ბიძაშვილიც.

ჰოდა, უმცროსი სმიტი ამბობდა, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ადამიანმა ორ ქვეყანას შორის გავლებული საზღვარი ამგვარად გადალახა.

ჩვენმა კოლეგებმა უმცროსი სმიტისგან ისიც შეიტყვეს, რომ ეს ღონისძიება პირველია „მხიარული პროექტების“ მთელი სერიიდან, რომელსაც ორივე ქალაქის მოქალაქეთა გამაერთიანებელი ორგანიზაცია INSITE-ი ახორციელებს.

უფროსი სმიტის სიტყვებით, იგი სივრცული და მენტალური საზღვრების შესასწავლად [illegible]რულმა შთააგონა. მას ამერიკის სასაზღვრო სამსახურმა საზღვრის ასე უჩვეულოდ გადასალახავად სპეციალური ნებართვა მისცა. „ბევრი [illegible] ბინე მთლად ზემდგომ ორგანოებში, რათა მამაჩემისთვის [illegible] ფედერალურ ციხეში არ [illegible] თავი. ჩემმა მონდომებამ შედეგი გამოიღო და მამისთვის ნებართვა მოვახერხე“ — თქვა ამერიკელის შერეკილმა შვილმა, რომელიც მამის მეთაურობით, ეტყობა, [illegible] ახალ სახეობას ნერგავს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



AFP ნიუ იორკიდან

# ფლეშინგ მედოუზის ღიმილი

ფლეშინგ მედოუზზე ცხოვრება დუღს: ხალხი ხარობს და კარგ ჩოგბურთსაც უცქერის. კიმ კლაისტერსი ენდი როდიკის ანეკდოტზე იცინის, ჯიმ კერი კი პირდაპირ კორტზე ლლაბუცობს. ჯონ მაკინროის, გიტარის ძველ ტრფიალს იმდენი გაუბედავს, რომ მუსიკის ლეგენდასთან ბო დიდლისთან ერთად უკრავს, თუმც კი საღლაბუცოდ შემცბარა. სერენა უილიამსის პირადი სტუმარი ჯეკი ლონგი კი სერენასავე ძაღლს, ასევე ჯეკის დარაჯობს ტერასაზე და პატრონის თამაშს უცქერს.



AFP ნიუ იორკიდან





AFP ნიუ იორკიდან

# მოხუცი გაფრინდა

73 წლის ვლადიმირ პოპოვი 73 წლისა და ხანდაზმულის ფინალს კი უწია: ოლონდაც, ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატზე, სან სებასტიანში რომ მიმდინარეობს. პოპოვმა 10.04 მეტრი იფრინა და ოქროც მოიგო.



AFP სან სებასტიანიდან

# რონალდოს გაესაუბრნენ

ეს დიდი უცნაური ამბავია: რონალდო პოლიციამ დაკითხა, რიოდან 20 კილომეტრით დაშორებულ ნიტეროიში. ეს დაკითხვა არც იყო, უფრო გასაუბრება ნარკოტიკების ინტერნეტით გაყიდვასთან დაკავშირებით. გამომძიებელმა ლუის მარსელუ შავიერმა თქვა, რომ ფეხბურთელსირიბი კავშირიც კი არა აქვს ამ საქმესთან. რონალდო შინ პოლიციის ვერტმფრენით გამოასტუმრეს.



AFP ნიდერლანდიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი იქროსჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლაშა თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხოძერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბაქარი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge